საქართველო, როგორც ვხედავთ, იმთავითვე მოექცა ევროპელი და აზიელი მწერლების ყურადღების ცენტრში. საქართველოს წარსულისა და აწმყოს ჩვენებით უცხოელი ავტორები წარმოსახვენ მოძალადე დამპყრობლების წინააღმდეგ პატარა სახელმწიფოების თავადებულ ბრძოლის სურათებს. უცხოელ მწერლებს მოსწონდათ ქართველი ადამიანების შემართება სასახლის დიდებულთა წინააღმდეგ, მათი ბრძოლა საკუთარი ერისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად, მათი უმაჯაღეთო პატიოტიზმი. ეს მწერლები ლაპარაკობდნენ ტერიტორიალური და რელიგიური ინტერესების ურთიერთშეჯახებაზე მცირე აზიაში, აჩვენებდნენ იმ პროგრესულ როლს, რომელიც ითამაშა რუსეთის პოლიტიკამ ქართველი ხალხის და საერთოდ, პატარა ერების სასიცოცხლო ინტერესების ჰუმანურ დაცვაში. სოციალისტური საქართველოს ყოფის დახატვით უცხოელი მწერლები მიუთითებდნენ კაცობრიობის მომავალ ბედზე; სოციალისტური წარმოების ხასიათზე, აგრარული და კულტურული საკითხების მომავალ გადაწყვეტაზე, შემოქმედებითი შრომისა და ბედნიერი მომავლისთვის ბრძოლის მეროიკაზე.



სცენის ფრაგმენტი რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „მამლუტი“

კლადოუსი — ს. ზაქარაიძე, ლაბრტი — ა. მხარაძე



მომღერალ ვაჟთა ქართული გუნდი, დაარსებული 1914 წელს ლტბარ იოსებ გომიაშვილის მიერ. მისი გარდაცვალების შემდეგ გუნდს ხელმძღვანელობდა ილია გომიაშვილი. სურათზე: ილია გომიაშვილი (შუაში), მარჯვნივ — ნიკო გომიაშვილი.

ხ ე ლ ო ვ ა ნ თ ა მ ო ღ ბ მ ა

ივანე ჯავახიშვილი



ოძიაშვილები! საქართველოში იშვიათია ისეთი გვარი, რომელსაც ამდენი ხელოვანი და ხელოვნების თევადღებული მოყვარული მოეცეს. გომიაშვილების ზოგიერთი წარმომადგენელი საკმაოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ათობით წელიწადია ქართულ სცენას ერთგულად ემსახურება კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ვასო გომიაშვილი. შორს წაგვიყვანდა დიდი დიაპაზონის არტისტის შემოქმედებით ბიოგრაფიის დაწერაში თხრობა.

ვინ არის ვასო გომიაშვილი? იგი ლუარსაბ თათქარიძეა „კაცია ადამიანში“, რიარად მესამეა შექსპირის ტრაგედიაში, ანტიკა ა. ცაგარლის უკვდავ კომედიაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ფიგაროა ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებაში“, ერეკლე მეორეა ლ. გოთუს იმევე სახელწოდების პიესაში. სხვადასხვა სახეები, ნაირფერადი ხასიათები თავისებურად, ორიგინალურად, ვასო გომიაშვილისებურად ვლინდება შემოქმედში. ვასოს ტალანტი თბილისელებმა იხილეს ასზე მეტ როლში. ყველა მათ ხომ ვერ ჩამოვთვლი! როცა კოტე მარჯანიშვილის სახელოვან მოწაფეს სცენაზე ხედავ, ღრმად გრძნობ ჭეშმარიტ ხელოვანს, დიდი ერუდიციის მსახიობს.

ვინ არ მოიხიბლულა ვასოს გამოსვლით ესტრადაზე! მან თავისებურად, ორიგინალურად აამეტყველა იოსებ გრი-

შაშვილის უკვდავი ქმნილება ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოქემაზე. ქართული ესტრადის პირველი მერცხალი ღირსეულად გაზაფხულოდ ესტრადის სრულიად საკავშირო კონკურსის ლაურეატი.

სცენის უანგარო მოამაგის მრავალწლიანი მუშაობა ხალხმა და სამშობლომ ღირსეულად დააფასეს. სსრ კავშირის სახალხო არტისტი სახელმწიფო მოღვაწეობის ფართო გზაზეც გამოვიდა. შარშან ხმა მივეციტ სცენის დიდოსტატს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ავირჩიეთ.

პატარა, უბრალო, უჩინარი ადამიანებისაგან ხშირად დიდებული საქმეები კეთდება. ამიტომ სათაკილო როდია, თუ ვასოს გვერდით მის ძმას გიორგის დავასახლებთ. გიორგიმ თავისი ბედი ცირკს დაუკანშირა. ათობით წელიწადია მასაც თავისი მცირედი წვლილი შეაქვს ხელოვნების ამ საინტერესო დარგის წინსვლელობაში და პატროსნად ემსახურება ჯამბაზებისა და ექვილიბრისტების, მზეკების მომთვინიერებელთა და მოგუნდის მასხარათ მოყვარულებს. ცირკის პატივისმცემელთა პატივისცემა მას ჭეშმარიტად კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია. ერთ დროს ისიც იმ გუნდში მღეროდა, რომელსაც მკითხველს ქვემოთ გავაცანობო...

ძველ ისანში, ავღაბრის ქუჩის ერთსართულიან ბანაინ სახლში ოდესღაც ცხოვრობდა ქიზიყელი გლეხი, მუფის ნაცვლის სტამბის მუშა ალექსანდრე გომიაშვილი. ვასოს



ბიძეუ ამბობენ, როცა ის ჭიანთ ტყეში ურმულს წამოიწეება, მისი წყრილა ხმა ვაქირში ჩამოდიოდაო. ამიტომ საყვირველი როდია, თუ მისი შვილებიც სიმღერამ გაიტაცა. ტკბილანკარგანი სიმღერებით ხიზლადენენ მსმეველთ ამ ოჯახის წევრები სთვო და თამარ გოძაშვილები!

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მის შვილეს ალექსანდრის ობლად დარჩა სამი ვაჟიშვილი. ვიკვავლახით გამოზარდა მან ნიკო, ილია და იოსები. მათ ჭბაუკობიდანვე სცენისაყენ მიუწვედათ გული. ყმაწვილკაცებს უყვარდათ სიმღერა, ცეკვა. იოსები გიტარაზე, ილია კი მანოლინაზე უკრავდა. ორი ძმის აკომპანიმენტით ტემპიკამენტინანად ცეკვავდა ნიკო. სახლის ბანი იყო მათი მიმზღველი მაგნიტი, ბანი, სადაც ქართველი ხალხის ძველი ჩვეულებისამებრ თითქმის ყოველდღე საღამომოდ და კვირაობით დღისთავდ არ ცხრებოდა ღზინი. „ამ დროს მე და დიდება ტაშს ვუკრავდით. ღზინზე მივლი უბანი მოგროვდებოდა ხოლმე“ — იგონებს ამ ოჯახის მახლობელი შაქრო ტალიაქაძე.

ბანიანი სახლიდან თეატრში ასეთია გზა ნიკო გოძაშვილისა, რომელიც სცენაზე ფეხი შეიღვა 42 წლის წინაა. თავისი არისტოკრული კარიერა მან 1917 წელს ბათუმის დრამატული თეატრის მოკარანახეობით დაიწყო. იმავე წელს მსახიობად გადაიყვანეს. მას შემდეგ თბილისის, სოხუმისა და ჭიათურის თეატრების მსახიობია. 1922 წელს სწავლობდა აკაკი ვიდალას დრამატულ სტოდიაში, პარალელურად კი ხელოვნების მუშეკთა კავშირის კულტურათმცოდნეობის გამგე იყო. 1923 წელს მას მოსკოვის ქართულ დრამატულ სტოდიაში ვხვდავთ. 1926 წელს ნიკო საშობლოში ბრუნდება და რეჟისორად და მსახიობად იწყებს მუშეობას. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის აღსანიშნავად მასტიმ ომ თეატრების ჩართვებაც კი საკმარისა, სადაც მსახიობა თავისი შემოქმედებით დიდი დატოვა. რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის, თბილისის საინტარული კულტურის, ფოთის, ქუთაისის თეატრები იყო მისი სასაბაჟო. ვანსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოს ღვაწლი ფოთის წლიური დასისა და სტაჟონარული თეატრის დაარსებაში. იგი ამ თეატრს ხელმძღვანელობდა ათი წლის განმავლობაში, კოლხიდის დელეგატის მასურებლებს მისი ზეერი კარგი დადგმა ახსოვთ. უმეველად ცალკე უნდა გამოიყოფი „დალატი“, „სამშობლო“, „თიდიბის მეფე“, „ურიდი აკოსტა“, „რაც გონახავს. ვეღარ ნახავ“, „ინიშოშვილის კურსი“, „გმირთა თაობა“, რომლებიც მისი დადგმით ზღვისპირა ქალაქის მასურებლებმა ნახეს.

თბილისის სანკულტურის თეატრში განხორციელებულ დადგმებიდან ნიკოს ეკუთვნის „ცირა“, „შეხვედრა დღობაზე“, „ერთი დღე ავარაკზე“.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მან დადგა „განურჩელები პიროვნებისა“. ქუთაისელმა მასურებლებმა მისი დადგმით ნახეს „კამოლა“ და „ხმა გულისა“. „ხმა გულისა“ მიძღვნილი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი და, როგორც საკუთესო დადგმა, პირველი ჯილდო მიენიჭა. შემოქმედებით შეჯიბრებაში გამარჯვებულს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ნიკო გოძაშვილი

ახლაც ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობს საყვარელ საქმეს და იმედი უნდა ვიქნინოთ, რომ კვლავაც კარგი ნაშეშეგრებიით გაეკავებს.

...მაგიაზე მიყვითა ხანდაზმულობით ვახუნებული, ვაცრეცილი პროგრამები. აბრეშუმის სქელ ტილოსა და უბრალო ქალაღზე დაბეჭდილი სტრიქონები გვაცნობენ ილია გოძაშვილს. ჭბაუკობის დროინდელი მანოლინისტი მღეროდა ვუნდის სოლისტად, უკრავდა სალაპურს. ილია თავის ძმა ნიკოსთან ერთად მურაშკისა და არაქსიის თეატრებში მონაწილეობდა როგორც სცენისმოყვარე. ღზინის რაიონში მცხოვრები რეჟისორები კარგად იცნობენ მის მოღვაწეობას ტრანსპორტული კულტურული გათვითცობიერების დარგში. მრავალი წლის განმავლობაში ილია განაგებდა ბლუხანოვის სახელობის კლუბს. მას ხელოვნების, მხატვრული თვითმოქმედების ასობით მოყვარული აღუზრდა. ორგზის საპატიო რეჟინგული ამქამად ამიერკავკასიის რეჟინგის სამმართველოს კლუბის გამგეა. იგი ჭბაუკური ენერგიით განაგრძობს მასურებლის მხატვრულ აღზრდას.

ილიას ქალიშვილი მარეხი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიოს — „თოლისა“ დამაარსებელი და სოლისტი. თბილისელი მომღერალი რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცნობილი გახდა. მარეხ გოძაშვილის თავისებური, ლამაზი ტემპრის ხმა ისმის რადიოთი, ტელეგადაცემაში, ჩაწერილია გრამოფონის ფირფიტებზე. მხოლოდ ექვსი წელიწადია სცენაზე აქვრდა თვითმყობილი ოსტატის ხმა და, შეიძლება ითქვას, უყვე ექვსი ათასი წარმატება მოიპოვა. ამჟამად იგი მასურებლებს ატბობს კ. მაკარაძისა და ვ. ბარკიანიშვილთან ერთად. მარეხის სიმღერებს გაეცენენ მისიკომპოზი და ღზინგრადელები, ვილნუსელები და კიეველები, ტალინელები და რიგელები, აზერბაიჯანელები და უზბეკები.

არ მომზებრდება ჩამოვთავალი ის ქალაქები, სადაც მან ქართული სიმღერის სილიადე მიიტანა. შობილიური ქვეყნის სახელი და დიდება აზრალა ღონიღონსა და მანჩესტერში, ნოტინგემსა და ლივერპულში, ედინბურგსა და გლაზგოში. არაბთა ვაერითანებული რესპუბლიკის ეკვიტის რაიონში „თოლიამ“ 33 კონცერტი ჩაატარა. ტრიოს მონაწილენი პირველი ქართველი მსახიობებე არიან, რომლებმაც ფეხი დადგეს აფრიკის კონტინენტზე და თავიანთი ხელოვნებით დაატკბეს არაბი მასურებლები. ქართველ მომღერალს მსურავალ ტაშით აჯილდებდნენ ქარიოსა და ალექსანდრიის, პორტ-საიდსა და სუეცში.

დაუვიწყარი შეხვედრები უცხო ენებზე მოლაპარაკე ადამიანებთან, მდიდარი შობებუდიღებანი... ვაღმრვეცემენ, რომ ღონიღონის თეატრ „დევისში“ ტრიომ განაცვიფრა დარბაზში მყოფნი. გამორჩენილი ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე და მწერალი ფიბიან ბაურერს კონცერტის დამთავრების შემდეგ კულისებში შეჭრილა, ტრიოსათვის ქართული სიმღერები გაუმოკრებინებია და ნიუ-იორკში წასაღებად ჯობის მაგნიტოფონის ფირფიტაზე ჩაუწერია. ამგვარად, მარეხის ხმამ ატლანტის ოკეანეც გადალახა და ამერიკელებსაც მოასმენინა ქართული ვალდანი სიმღერა. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები მას შემდეგ ახალ რეპერტუარს დაუფლდნენ, სანტერესო პროგრამით წარუდგნენ ვენის



მომღერალ ვაჟთა ქართული გუნდი, დაარსებული იოსებ გოძიაშვილის მიერ. სურათზე: შუაში — იოსებ გოძიაშვილი, მის გვერდით ილია გოძიაშვილი, მათ შორის დაბლა ნიკო გოძიაშვილი.

ფესტივალს. ვენის შემდეგ — შვეიციის ქალაქები სკანდინავიის ნახევარკუნძულის ყველაზე დიდი სახელმწიფოს მოქალაქეებიც ეზიარებიან ქართულ პანკებს. როცა მარები თბილისში დაბრუნდა, მე ვხვარე, რომ მისმა ქალიშვილმა მანანამ მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში გამოცდები წარმატებით ჩააბარა და მომავალი მუსიკოსი პირველკურსელი გახდა...

რით აიხსნება მარების ესოდენ დიდი პოპულარობა? ქართული სიმღერის ჯადოსნური მელოდურობით და მომღერლის საშემსრულებლო ორიგინალობით. ალბათ იმიტომ, რომ მარებ გოძიაშვილს მდიდარი რეპერტუარი გააჩნია.

სიმღერები უხვად აქვს მსოფლიო ფესტივალების ორგანიზაციის მონაწილეს, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ტექსტები სიმღერებისა „ოპ, ტურფავ, ტურფავ!“ და „შენი თვლები“ მის ბიძას — იოსებ გოძიაშვილს ეკუთვნის. სულ სხვანაირად, უკუღმართად წარიმართა ამ ნიჭიერი აღამიანის ბედი. იგი 28 წლისა გარდაიცვალა და, მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა, მაინც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. ილია გოძიაშვილის ოჯახი ახლაც ძვირფას რელიქვიად ინახავს იოსების წიგნს „ლექსები გიტარაზე და ფანდურზე და საამღერებელი“ (გამოცემა შ. კიკნაძისა და გ. ჯაჭვიასა, სტამბა „ცხოვრება“, 1914 წელი).

აღლბარის ქუჩის ძველმა მცხოვრებლებმა კარგად იციან, რომ გოძიაშვილების ოჯახი რველუტორად იყო

განწყობილი. ამიტომ გასაკვირი როდია, თუ როგორც ნიკომ გადმოცა, „ამ დაბეჭდილ ლექსებს გარდა ორმომამდე დაწერილი ლექსი ჩემმა დიდიდამ ერთ-ერთი ჩხრეკის დროს ქანდაკების თვალწინ ცეცხლის ალში გახვია, როგორც ჩემი სკოლის რველები“.

პოტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი გულთბილი სიტყვებით იგონებს „გოძიაშვილების მოღვაწის“ ამ ნიჭიერ წარმომადგენელს. იგი წერს: „მართალია, მე ხარფუხელი ვარ, მაგრამ ისანში (აგლაბარში) ხშირად დავიარებოდი არაქსინის თეატრში სახალხო წარმოდგენების მოსასმენად.“

აქ გავიცანი ლტობარი იოსებ გოძიაშვილი, რომელმაც 1913 წელს სახალხო უნივერსიტეტთან პირველად დააარსა მომღერალ ქალთა გუნდი, 50 სულსიგან შემდგარი.

მე არაქსინის თეატრის ქართული სექციის მოკარნახე ვიყავი და იოსები, ჩემი სუბნია, ჩემი პირველი ნაბიჯების მომსწრე იყო. უნდა ითქვას, რომ გოძიაშვილების მთელი ოჯახი ხელოვნების მოყვარულია“.

პირველად, — წერს პოტი-აკადემიკოსი, და ეს ფაქტი იმდროინდელი მასალებით სავსებით დასტურდება. გუნდმა დიდი წარმატება მოიპოვა დაარსების პირველი წლიდანვე.

იოსებ გოძიაშვილის ხელმძღვანელობით კონცერტები ეწყობოდა ძმები ზუბალაშვილების სახლში, ე. წ. მაშინდელ სახალხო უნივერსიტეტში, იქ, სადაც ახლა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრია. ხალხის გასაოგით-



ქალთა პირველი ქართული მომღერალთა გუნდი, დაარსებული 1913 წელს იოსებ გომიაშვილის მიერ.

ცნობიერებად დიღები იმართებოდა. ქართველი მოღვაწეები კითხულობდნენ ლექციებს, რის შემდეგ კონცერტები უწყობოდა. ესწრებოდნენ თბილისელი მუშები, ხელოსნები, ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენლები.

როგორც ყურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (1915 წლის № 23) წერს, იოსებ გომიაშვილმა „საერთო სიყვარული ლოტბარობით დაიმსახურა. სიმღერა გალობა ბავშობიდანვე უყვარდა. ექვსი წლისამ დაიწყო გალობა წმინდა მარინეს ეკლესიაში კოტე ჩარკვიანთან. შემდეგ სემინარიაში — მღვდელ კარბელაშვილიან. ბოლო დროს სანდრო და მიხეილ კავსაძეებთან და მ. ლაბაძესთან პირველი ადგილი ეჭირა. მიხეილ კავსაძის ძველ გუნდში გამკვიბის წევრადაც იყო“.

ერთი წლის შემდეგ იოსებ გომიაშვილმა შექმნა მეორე — ვაჟთა გუნდი. ვაჟთა გუნდის შემადგენლობა ასახულია მოზრდილ ფოტოსურათზე, რომელიც 1914 წელს ზუბალაშვილების სახლის ეზოში გადაუღიათ. ქალთა გუნდის სურათი გადაღებულია 1913 წელს ორთაქალაში.

ორივე გუნდმა იარსება 1917 წლამდე. ძმის გარდაცვალების შემდეგ საქმეს სათავეში ჩაუდგა ილია გომიაშვილი. თბილისის გარდა იგი კონცერტებს რაიონებშიც მართავდა. მართო რეპერტუარის აღნუსხვაც კი საქმარისა იმის დასადასტურებლად, თუ რა სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ სიმღერის მოყვარული გომიაშვილები. გუნდები მუშროდნენ: „ქართველი, ხელი ხმალს იკარი“, „გუშინ შეუღლი გურჯაენლი“, „ყვარლი“, „ბრძანა სოლომონ“, „ნათლა ჩემი მეწვია“, „თამარის დროშა“, „ნეტავი გოგო“, „თებრონე“, „მოკვიდ მტერი“, „ჭერიო ბიჭო, ბაჩასო“, „ბიჭო და ჰერიო“, „გლესავ და გლესავ ნამგალო“;

„იარეთ, ბიჭებო!“, „ცანგალა“, „მაყრული“, „სტირიან თუმის ქალები“, „მუშებო, თქვენი მარჯვენა“ და მრავალი სხვა.

იოსებ გომიაშვილის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის საბაზი ვახდა მისი გაცეცხვა პოეტის — აკაკი წერეთლის დაკრძალვის დროს. საქმე იმაშია, რომ განსვენებულის პატრისაცამდე მოვიდა ორივე გუნდი, რომლებსაც იოსები ხელმძღვანელობდა. ლოტბარს ერთიდან მეორე გუნდში უხდებოდა გადასვლა, წარა-მარა დარბოდა, გაოფლიანებული გაცივდა და დასნეულდა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1915 წლის 21 მაისს გარდაიცვალა. „ეს ახალგაზრდა ბევრ სარგებლობას მოუტანდა სიმღერა-გალობის საქმეს, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ადარ აცალა.“

„განისვენე შვიდად, ხალხის წყნარო და უანგარო მუშაკო!“ — წერდა ნეკროლოგში ყურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

ნიჭიერ ლოტბართან გატარებულ საინტერესო დღეებს სიამოვნებით იკონებენ ამ გუნდების მაშინდელი წევრები ანა რაზმაძე, ვალენტინა ბაკურაძე, ტოსია ტოკონიძე, ნინო ფოცხვერაშვილი, გიორგი გომიაშვილი, იაკობ ხახვიაშვილი, ერასტი ლებანიძე, იოსებ სამადაშვილი, თამარ კლაცმანი, მარიამ ბეჭუაშვილი.

როცა ხელოვან-გომიაშვილთა სიას გონების თვალს გადავალე, გვიანა უმუხრ ბრჭყვიალა მძივს, რომელიც პირმცინარე ასულს ჰკიდია ყელზე. მისი მარცვლები დიდპატარაა, მაგრამ ყველა მათგანი მაინც ხელს უწყობს ასულის სინატივს. გომიაშვილებიც იმ მივივის მარცვლები არიან, რომელიც შშობელ ქვეყანას ამწვენებს.



მოზღაპალი და პელაგოზი ნინო ცერცვაძე

იური შალიმოვი



სოცდური ხელისუფლების ოსტატ, რომელიც ამჟამად სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ასწავლის, თბილისის ფართო საზოგადოებისათვის, როგორც მომღერალი, უცნობია, რადგან მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა თითქმის სპიი ათეული წლის მანძილზე საზღვარგარეთ, უმთავრესად, იტალიაში მიმდინარეობდა.

ეს მომღერალი, რომლის შემოქმედებითი გზის მოკლე მიმოხილვაც აქვრების თემის შეადგენს, გახლავთ ნინო ცერცვაძე.

25 წლის ასაკამდე ნინო ცერცვაძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე. 1937 წელს მსხვილ კურსის სტუდენტი ნინო ცერცვაძე აწვდილი გასაჯაროებლად, ვოკალური და ასწავლური სრულყოფისათვის, იტალიაში გაემგზავრა. აქ ნინოს პირველი გაკვეთილები აძლევდა მასტერ კომპანინო. გამოცდილება პედაგოგში იმითათვის უკრძალვია მასაცია ქართველი მოწაფის მებრძოლად მომზადება მას (დრამატულ სოპრანოს) და დღეს რომაელი უფინანსურბრძოლად. მაგრამ მასტერის მასთან მეცადინეობა არ დასცვალა. — კომპანინო მოკლევადიანად გარდაიცვალა.

მაშალი კვალიფიკაციის და გამოცდილი პედაგოგის ძიებამ ნინო ცერცვაძე მიღწეობის მიხედვით. აქ იგი მოიწიერა ჯგუფები უბრძოლის სახელობის სკოლაში, გამოჩინილი, იტალიელი მომღერალი ქალის ლიაროუსის ქალაქში.

ეს საწავლებელი დადარსდა დღესაც კომპანინოს ვერაძე იმ მხიზით, რომ პედაგოგიური მოღვაწეობის საბრძოლველად შეეცაზნა დეპუტატი, სილინდანი გასული დღი მომღერლებისთვის. თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ლიაროუსს ამ სკოლაში მასწავლებლად, ლიაროუსის მეცადინეობა ნინო ცერცვაძესთან 7 წელიწადს გაგრძელდა, აქედან ორ უკანასკნელ წელიწადს სწავლასთან ერთად ნინო პედაგოგობაც უწევდა. 1938 წელს, ჯგუფზე ვერდის სახელობის საწავლებლის დამოაგრებისთანავე ნინო ცერცვაძე მიიწვიეს ნეაპოლის საოპერო თეატრის „San Carlo“-ში, სადაც მოხდა მისი საღებულო გარსივლა სატეტუსის თეატრის ობლაში (მოსკვის ოპერა „სოფლის პატონენა“). დებიუტანტის წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სპექტაკლის დამოაგრებისას თეატრის დირექტორმა ახალგაზრდა მომღერალს შესთავაზა სამ სადამის ზღვირზე გამოსულიყო ოპერა „სოფლის პატონენის“ ახვე პარტიში. ჩვეულებრივ ასეთი უპირატესობა აქვს და ამ წინადადებთ მიმართავენ ხოლმე მხოლოდ იმ მომღერლებს, რომელთაც უკვე სახელი აქვთ მოხვეტილი ისეთ მომთხიერ მუსიკალურ მსმენელებს შორის, როგორც იტალიელები არიან.

თვინდ თეიმდე იზრდებოდა ქართველ მომღერლის მოსულირობა იტალიაში.

ერთი წლის შემდეგ პალერმის საოპერო თეატრის სცენაზე, სახელგანთქმულ იტალიელ მომღერალ პეტრატელისთან ერთად, ნინო მღერის მთავარ პარტიას ჰუჩინის „ტოსკაში“. დიდ იტალიელი მომღერლის პარტნიორად გამოსცდამ ე. ცერცვაძის უფრო მეტი

წარმატება არგუნა, ვიდრე ჰქონდა „სოფლის პატონენაში“. დიდი დრო არ გასულა, რომ ნინოს დაიკურს სცენის პარტია ჯ. ვერდის „ტრუბადურში“ და მთავარი როლი ბელმლის ოპერა „ნორმა“-ში. აქაც მან გამარტოდა თეატრის ხელმძღვანელთა იმედი და მსმენელთა მოლოდინი.

1934 წელს ნ. ცერცვაძე ვენეციის საოპერო თეატრის სცენაზე მღერის იმელას პარტიას ჯ. ვერდის ოპერა „ზალ-მასკარაბოში“. ამ სპექტაკლში მისი პარტნიორები იყვნენ ცნობილი იტალიელი მომღერლები — ტენინო ენრიკო ძილიანი, პარიტონი ანტონიო რატი. ამ თეატრშიც მის გამოსვლეს თანახმად მსმენელთა მესხარ იყავიები. რამდენადაც იზრდებოდა მისი მოსულირობა უცხოეთში, იმდენად მწკვიდე განცდილება სცდის თავისი შორეული საშობობისადმი, გულსიტვიღის იმის გამო, რომ თავის ხელისუფლება იგი ვერც ენსაბრებოდა იტალიაში ხალხს. სწრაფად იმ ხანებში, როცა მისმა ოსტატობამ მაღალ დონეს მიაღწია, ნინომ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ოჯახურმა ვარგებებამ მას ამის საშუალება არ მისცა, და იძულებული გახდა კვლავ დიდხანს დარჩენილიყო იტალიაში.

1935 წელს ნინო პატარა ქვეუის—სანმარინოს სტუმარი, მღერის მსაქე პუჩარის საზღვრული ღია თეატრის „Cava Antica“, ხ.

ნინო ცერცვაძე



დაც იმ ხანებში ორტეტის დირიჟორობდა სხელთვანი იტალიელი დირიჟორი ლუიჩო სელი.

მთელი რიგი ოპერების წყვეან პარტიებში გაწვდილმა და დაოსტატებულმა ნინო ცერცვაძემ კონცერტებით შემოიარა იტალიის მთავარი ქალაქები — რომი, ნეაპოლი, გენუა, ტურინი, პეზარო, ზუსენო (ჯგუფზე ვერდის საშობობი ქალაქი) და სხვ.

ხანგრძლივ სასცენო მოღვაწეობასთან ერთად ნინო ეწეოდა პედაგოგობას, — თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა და ვოკალურ ხელოვნებაში აოსტატებად ახალგაზრდობას.

ნინოს მოწვევები — დღეს უკვე სახელმძივებლად მომღერლები სერჯო პარტარო, ნიკოლო ლოვერეტი, მიმი პარდინი ამჟამად გამოდიან მრავალი ქვეუის საოპერო თეატრის სცენაზე.

თუ რა დიდად აყავსდენდ ნინოს, როგორც პედაგოგად, მომზობის თვტები, რომ კოლინდნად დაოსტატების მზიზნე მასთან ცნობილობის მიხედვად მიღწეობა ჩავიდა ცნობილი არტისტის და პედაგოგის ალბერტ ვაკენბერტის მოწვევით მომღერალი მუჯიკინი არ ბრის. ნინო ცერცვაძისთან თეატრის კურსის გაულის შემდეგ გროსი დაბრუნდა გერმანიაში და სახელიც მოიხვევა, როგორც მთავარი ვოკალური პარტიების ჩინებულმა შემოქმედებლად. ნინო ცერცვაძის მიერ სრულყოფილი ხელისუფლება, გროსის იმდენად მოეწონა მის უყოფელ მასწავლებლის ალბერტ ვაკენბერტს, რომ ამავე გადაწყვეტა ჩასულიყო მილანში და ნინოს ხელმძღვანელობით აეხმადღებინა თავისი პროფესია, როგორც მომღერლისა და პედაგოგისა. იგი ახვე მომწედა.

ამის შემდეგ ვასაკურთ არ არის, თუ ნინო მიიწვიეს პედაგოგად გერმანიის მუსიკალურ სასწავლებლებში. სხვათა შორის იგი მასწავლებლობდა მანჩესტერში, მაგრამ გერმანიაში დიდხანს არ დარჩენილა. ისევ თავის მეორე საშობობის — იტალიას დაუბრუნდა.

1956 წლიდან ნინო გამოდის კონცერტებით რომის ტელევიზის სტუდიაში. ამავე ხანებში მას შესთავაზეს დაედო ხელშეკრულება და საოცნებოდ გამგზავრებულიყო ლონდონსა და ნიუ-იორკში, მაგრამ ვინაიდან გადწყვეტილი ჰქონდა — საქართველოში გამოსვარება, ამ წინადადებებზე უარი განაცხადა.

როგორც უკან, ნინოს სასცენური ნეტრია და დღისინის ოქენება გაზიარცილდა — 1955 წელს იგი თბილისში დაბრუნდა (ქალმუსიკოლოგი) და ამავედ მთელს თავის მდიდარ ვოკალურ, სცენურ და პედაგოგიურ გამოცდილებას ახმარს ქართველ ახალგაზრდა ხელთვანთა აღზრდას სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორიაში. მოწვევებთან მეცადინეობის დროს მისმა ახლაც ახალგაზრდად ვერდის. მისი დიდი აქტიური-ვოკალური და პედაგოგიური გამოცდილება სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი ენერგიული მეცადინეობა თბილისის კონსერვატორიაში სტუდენტობას (ჯ. სალიაძი, ი. ჯავახიშვილი, ა. მუსხიშვილი, რ. დავითიანი და სხვ.) მოკლედ ხანში ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს.

ფრანკო-საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან

ზაქარია კიკნაძე

შარან შესრულდა ოთხმოცი წელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასასრულს — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში აღმოცენებული ეს ნებაყოფლობითი საზოგადოება გახდა ამ მოძრაობის იდეების გამტარებელი და დამამკვიდრებელი თვითმპყრობელობის უღელქვეშ მშენიანი ქართველი ხალხის ფართო უმრავლესობის, საზოგადოების მოღვაწეობა გაცდა მასებში წერა-კითხვის გავრცელების ამოცანებს. ბრძოლა ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის, მისი დამკვიდრებისათვის სკოლებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ბრძოლა ძველი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, ახალი ქართული კულტურის შექმნისათვის, ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებისათვის — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ მიზნებს ემსახურებოდა იგი 40 წლის მანძილზე. ქვეყნის საზოგადოება არა მარტო სკოლებს და ბიბლიო-ოთაკ-სამკვიდრეობებს აარსებდა და ხელშეწყობდა, ამასთან იგი გამოდიოდა თავისი დროის პროგრესული პოლიტიკური იდეების და შეცნობილი კულტურის ძველ ძეგლთა და ხელნაწერთა შენარჩუნების, დაცვის, მხატვრული, კალაღრთული ცხოვრების, კულტურის ლიტერატურის გამოცემის ორგანიზატორის, კულტურის მოღვაწეთა ახალი კადრების აღზრდის თაოსნის და ხელის შეწყობის როლში, ერთი სიტყვით, არ ყოფილა ქართველი ხალხის საღიფრთო ცხოვრების არც ერთი კერა, რომელსაც არ მისწვდებოდა ამ საზოგადოების მორგანიზებელი ხელი, თვითმპყრობელობის აგენტებს, რომელთაც რა თქმა უნდა, კარგად ესმოდათ ამ ორგანიზაციის დანიშნულება, მისი მოღვაწეობის აზრი და მიზანი, ცდა არ დაეკლათ სხვადასხვა ბიუროკრატიული სტრუქტურით და აშკარა რეპრესიული შეფერხებით საზოგადოების დაარსებაც და მისი შემდგომი საქმიანობაც, მაგრამ ბოლოს მართვ იძულებული გახდნენ უკან დაეხიბათ ამ საზოგადოების მთავარი და უღრესი ნებისყოფისა და პატივმოყვანილი ინფუზიის წინაშე. საზოგადოებამ დიდი ამაგი დაუტოვა ქართველი შრომის მოსახლეობის კულტურული აღორძინების და ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების გაღვივების საქმეს, ამიტომ იყო, რომ ქართველმა საბჭოთა პრესამ და მთელმა საზოგადოებრივმა მასშტაბის გაზეთებმა აღიწერა დაუღუწვარი თარიღი — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების მე-40 წლისთავი.



ოწინავე ქართველობამ (დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ივ. მაიახელი, გრ. ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ზეს. ლოლო-ბერიძე, ვახ. თულაშვილი, კონსტ. მამაცაშვილი და სხვ.) ხანგრძლივი ბრძოლით მიადგინა იმას, რომ ადგილობრივი მთავრობისაგან მიიღო ნებართვა დაეარსებინა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მთავრობამ საზოგადოების წესდება დამატა-ტყია შუამდგომლობის აღძვრიდან წლინახევრის შემდეგ — 1879 წ. 31 მარტს (ძველი სტილით). საზოგადოების დამფუძნებელი კრება შესდგა იმავე წლის 27 მაისს. კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ ერთხანად აირჩია დ. ყიფიანი, წევრებად — ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ივ. მაიახელი, ნ. ცხვედაძე, ალ. სარაჯიშვილი, რ. ერისთავი და ოთხი კანდიდატი. გამგეობის მიერ თავმჯდომარის ანბანაგად ერთსულიანიდ არჩეული იქნა ი. ჭავჭავაძე, რომელიც 1882 წლიდან სიკვდილამდე ითვლებოდა მის თავმჯდომარედ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წარმოადგენდა განმათავისუფლებელი ეროვნული მოძრაობის დიდ ფაქტორს. იგი ასრულებდა განათლებისა და კულტურის სამინისტროების ფუნქციებს, რასაკვირველია, მეტად შემოქნილი და გაცილებით ვიწრო მასშტაბით.

საზოგადოების გამგეობა, რომელიც თავიდანვე ეწეო-

ბოლო მუშაობას შეუდგა, შეძლებისამებრ ცდილობდა საჭირო სახსრების შეგროვებას. ილია ჭავჭავაძის დიდი მეცადინეობით და მისი წინადადებით თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკმა საზოგადოების სასარგებლოდ 11.000 მანეთი გაიღო, პროფ. ილია ოქროშეილიშვილმა — 6.000 მანეთი, პროფ. დ. ჩუბინაშვილმა საზ.პ.ს. გადასცა თავისი ინიციატი მდიდარი ბიბლიოთეკა; ასევე ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკმა გადალო ხაზგარტობად დიდი თანხა საზოგადოების ქუთაისის სკოლის სასარგებლოდ.

საზოგადოების ნივთიერ საშუალებებს წარმოადგენდა საწვერო გადასახადი, კერძო პირების შეწირულებანი უძრავი და მოძრავი ქონების სახით, ყოველწლიურად გამართული სივრნობა-გართობიდან შემოსული თანხა, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების, სხვადასხვა ავტორთა წიგნების ჯაყიდვიდან მიღებული მონაგები და სხვ. ცხადია, ეს ნივთიერ სახსრები მცირე თანხას შეადგენდა იმ დიდი მიზნების გასახორციელებლად, რაც საზოგადოებას ჰქონდა დასახსნელი.

მართალია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას ერთობ მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ მან მაინც უშესლოდ და 1914 წლისათვის ოცზე მეტი სახალხო სკოლა გახსნა საქართველოში და მის გარეთ (ბაქოში, კავკასია და სხვ.). იგი ეხმარებო-



მოწინავე ქართველი მწერლები და მოღვაწენი

და არა თავის გამგებლობაში მყოფ სახალხო სკოლებსაც სასწავლო ნივთებით. ამ დროისათვის საზ-ბას უკვე დაარსებული ჰქონდა 80-ზე მეტი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამავე პერიოდში შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები საქართველოში და საქართველოს გარეთ (ბაქოში, ვანჯაში, კაკავეში, ერევანსა და ტუაფსეში) — სულ 31.



საზოგადოებამ ბირველი ქართული სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსა 1892 წ. ქალთა წრის ხელმძღვანელის ანასტასია წერეთლის ინიციატივით. 1894 წ. მუშა-ხელოსნებს, შეუძენიათ 400-ზე მეტი ქართული წიგნი, უყვლიათ ბიბლიოთეკისათვის საჭირო ნივთები, ყველაფერი ეს შეუწირავთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის და თანაც უთხოვიათ სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამართვა კუკიაში (ახლანდელ ოტტომბრის რაიონში). საზოგადოების გამგეობას დაუყოვნებლივ აღუძრავს სათანადო შუამდგომლობა თბ. გუმბრინატორის წინაშე და ცხრა თვის შემდეგ ნებაართვა მიუღია.

გავიდა რამდენიმე წელიწადი და დიდ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ საზოგადოებამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოები

თხველობი მოაწყო ქუთაისში 1896 წ., ახალციხეში 1896 წ., სოფ. უღეში — 1897 წ., ხოლგეში — 1898 წ., საჩხერეში — 1898 წ., დიდი ჯიხაშიში — 1898 წ., ონში — 1899 წ., ხონში — 1901 წ., ნაძალადეგში — 1901 წ., ყვირილაში — 1902 წ., ხარაგაულში — 1902 წ. და სხვ. ამასთან საზოგადოება დახმარებას უწყვედა კერძო წრეებისა და კერძო პირების მიერ გახსნილ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. 1895 წ. ქუთაისში ხელოსნებს დაუარსებიათ უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. დამარსებლები საზოგადოებას თხოვენ წიგნებით დახმარებას. გამგეობას დაუყოვნებლივ გაუგზავნია თავის მიერ გამოცემული ყველა წიგნის თითო ცალი და დამატებით სხვა წიგნებიც. მეტეხის საპყრობილის ქართველი ტუსაღები თხოვენ საზოგადოებას მიაწოდოს მის მიერ გამოცემული წიგნები. გამგეობა მაშინვე აკმაყოფილებს ამ თხოვნას. ასევე იგი წიგნებს უგზავნის ქუთაისის საპატრიარქოს ბიბლიოთეკას და ბევრს სხვა სამკითხველოს.

როგორც 1905 წლის სტატისტიკური ცნობებით ირკვევა, მკითხველთა მთელი რაოდენობის 75 პროცენტზე მეტს გლეხობა შეადგენდა. მათ რიცხვში შედიოდნენ მუშუბი და მოსწავლეები. მკითხველები ამგვარად იყო დანაწილებული: გლეხი, ვაჭარი, თავად-ზნაური, სასულიერო წოდების პირი. როგორც ვხედავთ, მუშა სრულიად არსად არის დასახლებული, რადგან ცნობების შედგენის ავტორი მუშასა და გლეხს არ ანხვავებდა ერთი მეორისაგან.

ნაძალადეგის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში, 1904 წ. მაისის ცნობებით, ყოველდღიური მკითხველებიდან ქართველები შეადგენდნენ 93 პროცენტს, თვიური მკითხველებიდან — ქართველები 88%, რუსები და სომხები 12% -ს.

ბიბლიოთეკაში მოსიარულენი ყველაზე მეტად ეტანებოდნენ მხატვრულ ლიტერატურას — ოლია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ევ. ნინოშვილის, გ. წერეთლის და სხვათა თხზულებებს. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საზოგადოების დანარჩენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში.



ჯერ კიდევ 1881 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ პეტრე უმიკაშვილმა მოხსენება წარუდგინა საზოგადოებას, სადაც იგი წინადადებას იძლეოდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის გამართულიყო პოპულარული საექიმო, ანუ პოკინურ-ფიზიოლოგიური ლექციები. ამისათვის, — წერდა იგი, — საკმაო ძალა მოიპოვებამ (ტფილისში ამგვარად იმყოფება რვა ექიმი: მაღალაშვილი, ბაზუტაშვილი, გაბაშვილი, ტარსაძე, მაჭავარიანი, მრეკლიშვილი, ნაცვლიშვილი და ფორაქიშვილი). გამგეობას ამ პირებისაგან შეუძლია შეადგინოს კომისია ლექციების პროგრამის შესამუშავებლად და აღსასრულებლად. უმიკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ ყველანი დიდი თანაგრძობით მოეცილებიან ამ წინადადებას.

გამგეობამ დანიშნა სხდომა პოპულარული ლექციების წაკითხვის მოსაწყობრებლად. როგორც საზოგადოებიდან ჩანს, ქართველ ექიმებს სურვილი განუცხადებიათ ჩატარებინათ ლექციები სხვადასხვა თემებზე.

რამდენიმე წლის შემდეგ ლექციების კითხვა შესუსტ

და მაგრამ ცხრას ათას წლებში ისევე გაძლიერდა. ქალაქ თბილისის პოლიციისტირის ნებართვით, საზოგადოებამ მოაწყო უფასო ლექციები ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ილია ნაკაშიძემ ბავშვებისათვის წაიკითხა ლექცია ზუნდოვანი სურათებით თემაზე: „ჩემი მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში“, ხოლო მოზრდილთათვის „მოთარბებნი საქართველოს ისტორიიდან“. მასწავლებელი ივ. როსტომიანი წამოიწია მოხსენებით თემაზე — „მოგზაურობა ჩრდილოეთ პოლუსზე“ (ზუნდოვანი სურათებით) და „ლოთობის მკვებლობის შესახებ“.

1916 წელს საზოგადოება ქ. თბილისის სამედიცინო-სანიტარულ განყოფილებას თხოვს ნება დართოს, რომ ლექციები ჩაატაროს ავადმყოფი და დაჭრილი მებრძოლებისათვის ქართულად შემდეგ თემებზე:

„თბილისის წარსული და აწმყო“; „ქართველი მწერლების დანიელ ჭინჭაძის, ევანტე ნინოშვილის, ნიკო ლომოურის, სოფრონ მაგლობლიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“; „ვეროსიას და აზიის ხალხების ცხოვრება“ (რუსეთი, აზიის, საღრანეთი, იტალია, გერმანია, ჩინეთი, იაპონია და ინდოეთი); „რუსეთისა და ევროპის მწერალთა — ეუოლის, ბუშინის, დოსტოვესკის, ტოლსტოის, ჩარლზ დიკენსის, ვიქტორ ჰიუგოს და სხვათა შემოქმედება“. ლექტორებად მხოვეული იყვნენ: ილია ნაკაშიძე, ივ. როსტომიანი, ანა ხაზუტაშვილი, თამარ აჩრახიანი.

სხვადასხვა თემებზე ლექციები იკითხებოდა სოფლიდან.

სხვადასხვა პირებს საზოგადოების ფონდში შექონდა განსაზღვრული თანხა, რომლის წლიური შემოსავლის გაორჯული პროცენტი უნდა მიხმარებოდა შრომისმოყვარე, ნიჭიერი და ღარიბი მოსწავლე ახალგაზრდობის სტიპენდიებს. არსებობდა ნ. ბ. ლლობერიძის, ძმ. ზუბალაშვილების და დ. სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიები.

პირველ ხანებში სტიპენდიების დანიშვნის ასეთი წესი იყო: სტიპენდიის მთხოვნელებს შერჩევდნენ ხოლმე და ამის შემდეგ საკითხი წყდებოდა საზოგადოების გამგეობის სტომაზე. მაგრამ როცა სტიპენდიის მთხოვნელთა რიცხვი იზარდა იმატა, რომ შეუძლებელი გახდა ყველა მთხოვნელის დამაკმაყოფილება, სტიპენდიის დანიშვნა ხდებოდა ზოგჯერ კენჭის ყრით, ზოგჯერ ლატარით, ე. ი. სასტიპენდიოდ მწერებულ პირთაგან ვისაც დანომრული სტიპენდი შეხვდებოდა, იგი ითვლებოდა სტიპენდიანტად.

სტიპენდიული თანხები სხვადასხვა რაოდენობისა იყო — ის ორმოცდაათი მეთერთიდან ოთხას მანეთამდე წელიწადში. სტიპენდიები ეძლეოდათ ყოველთვისად.

სტიპენდიის გაცემა ხდებოდა გარკვეული ხელშეკრულების დღეების შემდეგ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო მუხლი, რომლის თანახმად სტიპენდიანტი სწავლის დამთავრების შემდეგ, როცა მუშაობას დაიწყებდა, ვალდებული იყო მიეღებოდა თანხა ნაწილ-ნაწილ ყოველთვიურად გადაეხადა.

სტიპენდია ეძლეოდათ საშუალო სასწავლებლის, მეტწილად, სპეციალური სასწავლებლის მოწაფეებს და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. სტიპენდიები მიი-

ღო შემდეგში უკვე ბევრმა გამოჩენილმა მწერალმა საზოგადო მოღვაწემ.

ენისკ სტიპენდია არ შეხვდებოდა, საზოგადოება სასტიპენდიო თანხიდან ერთდროულ დახმარებას აძლევდა 50 მანეთიდან 100 მანეთამდე.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საფუძველზე ხდებოდა სტიპენდიის დანიშვნა, მოვიყვანო ერთ დამახასიათებელ მაგალითს.

ღონის როსტოვის მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეს ნიკოლოზ დავითაშვილს უთხოვია სტიპენდიის გავრცელება, თან წარუდგინა დახასიათება თავისი სკოლიდან და თბილისის მუსიკალური სასწავლებლის სიმღერის პროფესორ ენრიკო ბროდჯესაგან. საზოგადოების გამგეობას მთხოვნელის ხმის შემოწმება ზაქარია ფალაშვილისათვის დაუცხვრებია. ამ უკანასკნელს, როგორც თბილისის ფილარმონიის ქართული მუსიკალური სკოლის დირექტორს, თავისი ხელით დაწერილი ასეთი სახუთი წარუდგინა:

„ამით გამოწმებ, რომ ნიკოლოზ გრიგოლის ძე დავითაშვილის ხმა გამოეყვანა და დაერწმუნდა, რომ მას აქვს ბუნებრივად კარგი ხანი, ოღონდ სჭირია ბევრი მუშაობა ხმის გასაპარჯიშვებად და მუსიკალური სმენის გასავითარებლად“.

გამგეობას ამ ცნობის საფუძველზე ნიკოლოზ დავითაშვილისათვის ერთი წლის ვადით გაუფრქვლვია სტიპენდია და დაუღვინა „უკეთუ იგი სამუსიკო სკოლაში საკმაო უნარს გამოიჩენს, სტიპენდია მიეცემა კურსის დამთავრებამდე“.

1908 წლის 2 იანვარს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხური განყოფილების სტუდენტი სარგის კაკაბაძე (ამჟამად ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი) გამგეობას თხოვდა აძლევს სტიპენდიის დანიშვნის თანხაზე. იგან ჯუჯაბიშვილის მხრივ საუკეთესო დახასიათების გამო სარგის კაკაბაძეს დაენიშნა სტიპენდია უნივერსიტეტის დამთავრებამდე. ქვემოთ ი. ჯუჯაბიშვილის ეს დახასიათება მთლიანად მოგვყავს:

„პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტუდენტი სერჯი კაკაბაძე ქართულ-სომხურ-სასარულ განყოფილებაზე და ბუჯითად სწავლობს, ნიჭიერ ეტყობა. მაგრამ ქონებრივად გაჭირვებულ მდგომარეობაშია: ამიტომ მან, ჩემის რჩევით, თქვენ თხოვნით მოგმართა, რომ თუ შესაძლებელი იქნება, ან სტიპენდია დაუნიშნოთ, ან ღირებოთ მანედ დაეხმაროთ. ს. კაკაბაძე ორი წლის განმავლობაში ქ. ვენაში სწავლობდა და ესხლა ნ. მართან და ჩემთან მუშაობა და ჩვენ ორივეს ქების მტერი არაფერი გვეთქმის. იგი ღირსია, რომ მას ვაძლევოდა დაეხმაროს. აქაურ სტუდენტებს შორის ცნობები შევკრიბე და ყველანა მოწმიბენ, რომ ს. კაკაბაძე ღარიბია და გინაზოიაში ყოფნის დროსაც განსაკუთრებულ ნიჭსა და ბუჯითობას იჩენდა.“

თქვენი პატვისმცემელი ივ. ჯუჯაბიშვილი“.

გარდა სტიპენდიებისა, საზოგადოებას ჰქონდა სააბრე-
მოო თანხები. ასეთები იყო ნ. ბ. ლლობერიძის პრემია — 500 მან., გრ. დადიანის პრემია — 400 მან., ნ. ერისთავის პრემია — 500 მან. (1916 წლიდან).



ბრემები უნდა გაცემულიყო საუკეთესო ნაშრომებზე — საქართველოს ისტორიული ცხოვრების, ქართული ენის, ძველი და ახალი ქართული მწერლობის შესახებ დაწერილ გამოკვლევებზე.

საბრემიო შრომებზე სხვადასხვა ღრის წარდგენილი იყო: იუსტინე აბულაძის „ვეფხისტყაისნი“ 22-ე გამოცემა და მისი დამატება; „შესწორებანი და შენიშვნები კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუში“; სიმონ ქვარაიას სამი წიგნი: „საქართველოს ისტორია“, „ქართველი ერის ტრავადა XVII საუკუნეში“ (გოგორის საკაძე) და „შოთა რუსთაველი და მისი დრო“; სააკის კაკაბაძის — „თმოგველის გვარის ისტორია“, „დავით აღმაშენებლის მეტაბიანის ვინაობა“ და 15-მდე სხვა შრომა; ბავლე ინგოროვას — „ძველი ქართული სახელაიგორო აზრები“, წიგ. I, ტექსტები, VIII-X საუკუნე; ვაჟა-ფშაველას „ფშაველი და მისი წიგნისოფელი“.

ქართული სიტყვა-კანონი მწერლობის საზოგადოების თავჯდომარე გრ. რცხილაძე ფ. კ. საზოგადოების გამგეობის აცნობებს, რომ შესაძლებლად მიაჩნია საკონკურსო სიამი შეტანილ იქნეს ლეო ქიარელის მოთხრობა „ტარიელი გოგუა“ და აკაკი პაპაიას ესკიზი „მქრთალ სხივთა ძნა“. კრიტიკოს კიტა აბაშიძეს წარუდგენია „ეტრუდები ქართული ლიტერატურის შესახებ“, (ორი ტომი). სხვებსაც აქვთ წარდგენილი შრომები. აღსანიშნავია, რომ კიტა აბაშიძის როგორც კი შეუტყუა, ვაჟა-ფშაველამ წარადგინა თავისი „ეთნოგრაფიული ესკიზები“, დაუყოვნებლივ შეუტანია გამგეობაში ასეთი შინაარსის განცხადება:

„ამას წინათ წარმოვადგინე დადიანის ბრემიანზედ ორი ტომი ჩემის თხზულებისა „ეტრუდები ქართული ლიტერატურის შესახებ“. ახლა ვაგიგე, რომ ბრემიანზედ წარუდგენია თავისი თხზულება „ეთნოგრაფიული ესკიზები“ ჩემს სახელთან და საყვარელ მეგობარს ბ. ვაჟა-ფშაველას. მე სრულად შეუძლებლად მიმაჩნია ბ. ვაჟა-ფშაველას თხზულებას მეტოქეობა გაუწიო და ამისათვის უმოჩინოვლად გთხოვთ ჩემს ნაწერებს (ზემოხსენებულ „ეტრუდებს“), რომელიც წარუდგინე გამგეობას, ნულარ განიხილავს და უკან დამიბრუნოს“.

კიტა აბაშიძის ეს განცხადება ვაჟა-ფშაველისადმი მის ღრმა პატივისცემასა და გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს და კომენტარებს არ საჭიროებს.

ასეიგივე ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის განცხადებაც.

საზოგადოების გამგეობას ბრემიების მინიჭებასთან დაკავშირებით ქ. პეტერბურგში ივ. ჯავახიშვილისათვის გაუზავნია მიმართვა: გთხოვთ საბრემიოდ წარმოადგინოთ ორი ტომი „ქართველი ერის ისტორია“, როგორც ღირსეული ნაწარმოები ბრემიის მისაღებად. მაგრამ ივ. ჯავახიშვილს უარით უპასუხნია. თუ როგორ ასაბუთებს ივ. ჯავახიშვილი თავის უარს საბრემიოდ თავისი შრომის წარმოდგენის შესახებ, ცხადყოფს ქვემოთ მოყვანილი მისი განცხადება:

„ყოვლად პატივცემული ჩემო ბატონო გიორგი! დიდად ვამადლობთ თქვენცა და ფ. კ. კ. საზოგადოების

გამგეობის დანარჩენ წევრებსაც იმ წერილისათვის, რომელითაც თქვენ კეთილი ინებეთ და წინადადებას მამლედი ჩემი „ქართველი ერის ისტორია“ (ორივე წიგნი) საბრემიოდ წარმოადგინეთ თხზულებათა სიამი მოვთავსო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ამ თქვენი სურვილის აღსრულება არ შემძლიან შემდეგი პრინციპილური მოსაზრების გამო: ბრემიები ყველგან და ჩვენივე რასაკვირველია, იმეტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარი ან წახალისონ, ან კონერბივი დახმარება გაუწიონ შრომისა და საბეჭდოდ და სამეცნიერო მუშაობის განსაზრვობად. მე ჩემდა საბედნიეროდ ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და ჩემთვის არც რაიმე წახალისება საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა მე თუმცა დიდად ამა, მაგრამ მაინც სახსარს მამლევის. ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომელთაც წახალისებაცა და დახმარებაც სჭირიათ, შევეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთაც და რუსეთშიაც აკადემიურად და სხვა შესატყვისის დაწესებულებებში ბევრს ჩემზე უფრო მეტად დამსახურებულსა და ჩემზე უფრო ქონებრივად უფორუნველყოფილ მეცნიერებს წარუდგენიათ ხოლმე საბრემიოდ თავიანთი თხზულებები, მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ეხლაც მაგონია, რომ აქ საკებრეო არაფერია და მათს მამლევის მე ვერ წავაბაძე. აი ის მოსაზრებანი, რომელთაც მაიძულეს ჩემი უკანასკნელი თხზულება საბრემიოდ არ წარმოვადგინო. კვლავ მამლეობას მოვახსენებთ ვულწრფელად იმ კეთილმყოფელობისათვის, რომელთაც გამოაწვეულია თქვენი წინადადება.

თქვენი გულწრფელი პატივისცემელი ივ. ჯავახიშვილი“.

აქაც კომენტარები ზედმეტია, ისედაც ყველაფერი ნათელია.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული, თუ რა ბედი ეწია საბრემიოდ წარმოადგენილ შრომებს, განსაკუთრებით, ვაჟა-ფშაველას „ფშაველა და მისი წიგნისოფელი“. ეს უკანასკნელი საბრემიო კომისიამ გადასცა სათანადო დასკვნისათვის, მაგრამ უაყოფივითი რეცენზია იქნა წარდგენილი. მაგრამ საზოგადოების გამგეობამ არაკეთილი დღეებზედა ამის შესახებ არ გამოიბატანა. დანარჩენებსაც უარი ეთქვათ ბრემიის მინიჭებაზე. ერთადერთი შრომა, რომელიც ბრემიის მინიჭების ღირსად იქნა ცნობილი, იყო იუსტ. აბულაძის — „ვეფხისტყაისნი“ და კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუში. ამაზე აღრი დადიანის წერილი მივნიჭებ ბ. ჭვარაიას შრომას „მერულ-ქართული ლექსიკონი“.



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ხალხში თეატრალურ და მუსიკალურ ხელოვნების დანერგვასა და გავრცელებას. საზოგადოებამ გამოსცა ჩვენი კომპოზიტორების და მუსიკალურ მოღვაწეთა ნაწარმოებები: ზაქარია ჩხიკვაძის სახალხო სიმღერების კრებული „სალამური“ სკოლისათვის (რამდენჯერმე), ზაქარია ფლორესანის „ქართული რომანსები“, ფილომონ ქორძის „სიმღერები“, იაკობ კარგარეთელის „ხალხური სიმღერები“, დ. არაყიშვილის „სიმღერების კრებული“ და სხვ.

1 გოგორე ყაზბეგი, მწერალ ლ. ყაზბეგის ნათესავი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ იყო იმ დროს.

ამასთან საზოგადოება ყოველწლიურად მართავდა სე-
ინობებს ზაღმებს სიმღერა-მუსიკით და ლიტერატურუ-
ლი საღამოთი; მონაწილეობდნენ ქართველი და არაქართ-
ველი მომღერლები. ჩვენი სახელოვანი მომღერალი ვანო
სარაჯიშვილი არა ერთხელ გამოსულა თავისი უზადლო
სიმღერებით ამ საღამოებზე, მუსიკალურ ნაწილს ხშირად
ხელმძღვანელობდა დიდი კომპოზიტორი ზაქარია ფალია-
შვილი და სხვ. ზ. ფალიაშვილის საზოგადოების გამგეობი-
საგან მადლობაც კი მიუღია წერილობით.

ასეთსავე მოღვაწეობას ეწეოდნენ საზოგადოების გან-
ყოფილებები ქუთაისში, კაკვაში, ბაქოში და სხვ.

ბაქოში საზოგადოების განყოფილების დაარსებამდე,
ადგილობრივმა ქართველობამ, დავით თედეიშვილის ხელ-
მძღვანელობით, შექმნა დრამატული დასი, რომელმაც
მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1903 წლიდან. საზოგადოე-
ბის განყოფილების დაარსების შემდეგ დრამატული დასი
1909 წელს საზოგადოების განყოფილებას შეუერთდა, რა-
თა დასის მიერ გამართულ წარმოდგენებს და საღამოებს
სისტემატური ხასიათი მისცემოდა და მუშაობა უფრო
ფართოდ გაშლილიყო. ბაქოს დრამატული დასი სისტემა-
ტურად მართავდა წარმოდგენებს. შემოსული თანხები სა-
ზოგადოების ადგილობრივი განყოფილების მუშაობას
ხმარდებოდა. 1914 წელს დასს გაუმართავს 27 წარმოდგე-
ნა, რომელსაც დასწრებია 8,615 მაყურებელი. ბაქოს ქარ-

თულ დასში სხვადასხვა დროს რეჟისორებად და მსახიობე-
ბად მუშაობდნენ ვ. გუნია, ვლ. შალიკაშვილი, ა. წუწუ-
ნაია, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ნ. ჩხეიძე,
ალ. კარგარეთელი, ტ. აბაშიძე, ნ. გვარამია, ი. ზარდლი-
შვილი და სხვ. მათი მონაწილეობით იდგმებოდა ბაქოს
სცენაზე „სამშობლო“, „ლალატი“ და სხვ. ბაქოში დასი-
სათვის დახმარების გასაწევად ჩადიოდა აგრეთვე ლადო
მესხიშვილი, რომელიც ზოგჯერ წარმოდგენებშიც ღებუ-
ლობდა მონაწილეობას.

საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობას 1909
წლიდან ჩამოუყალიბებია ქართული გუნდი. ამ გუნდს
ხელმძღვანელობდა მიხ. თაქთაქიშვილი. გუნდში ყველანი
უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ. 1912—1913 სასწავლო
წლიდან გუნდის ხელმძღვანელობა უკისრია ცნობილ კომ-
პოზიტორს ნიკო სულხანიშვილს, რომელიც ქ. ბაქოში წე-
რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართულ სკო-
ლაში ასწავლიდა სიმღერა-გალობას. ამიერიდან მომღე-
რალთა გუნდის მოღვაწეობა უფრო სისტემატურ და თან-
მიმდევრულ ხასიათს ატარებდა.

ასეთივე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გა-
უჩაღებია საზოგადოებას ქალაქ კაკვაში. მასწავლებლე-
ბის ლ. ბოცვაძის, ვ. ბურჯანაძის, სოლ. რუხაძის, ვ. ნა-
თაძის, გრ. მაჭავარიანის, გ. მიქაბერიძის და სხვების აქ-
ტიური მონაწილეობით კაკვაში საზოგადოების ქართულ

ილია ჭავჭავაძე საგურამოში





ცნზია, რომელიც მას დიდი დაგვიანებით წარუდგენია გამგეობისათვის. ეტყობა, ილიას უძნელდებოდა უარყოფითი რეცენზიის დაწერა. გამგეობა კი მოითხოვდა, რომ ორი კვირის განმავლობაში წარუდგენია ილიას თავისი აზრი. გავიდა ანა ორი კვირა, ორმოცდაათი დღე და ილიას დიდი ყოყმანის შემდეგ წარუდგენია დასკვნა წერილობით. ვაჟა-ფშაველას თარგმანის შეფასება მეტად მოკლე და ღლიანებრივ ლაკონიურობით არის დაწერილი. აი ეს რეცენზია:

„წერაკითხვის“ გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.

თარგმანი „ორღუნელი ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაისინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსადები მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასფასებლად საკმარის არ არის მარტო ერთი აზრი და შთაბეჭდილება.

ილია ჭავჭავაძე“

21 მარტი, 1905 წ.

ამ მეტად მოკლე რეცენზიაში ორი რამ ირკვევა: ერთი — ვაჟას ეს თარგმანი ილიას არ მოსწონებია, თარგმანისაგან მას მიუღია არადამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება: მეორე — ერთხელ კიდევ დასტურდება ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული პატივისცემა და იცყარული ვაჟა-ფშაველასადმი, როგორც მწერლისა და პოეტისადმი. ილია ჭავჭავაძე აცხადებს: „ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსადები მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასფასებლად საკმარის არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“, თუნდაც ეს ერთი კაცი ყოფილიყო დიდი ილია ჭავჭავაძე. საქმე იმაა, რომ ილია მთლიანად არ არის დარწმუნებული თავის ნათქვამში, თავის შეფასებაში. ამიტომაც არის, რომ გამგეობას თხოვს სხვებსაც გადასცეს შესაძლებლად ვაჟას თარგმანი და და მარტო ილიას შეფასებით არ დაკმაყოფილდეს, „მის აზრს არ დაჯერდეს“. მაგრამ გამგეობამ სრულიად საკმარისად ჩათვალა ილია ჭავჭავაძის დასკვნა ამ თარგმანის შესახებ, თარგმანი სხვებისათვის აღარ გადაუცია, თუმცა ვაჟაშვილს ამის თაობაზე არავითარი დადგენილება არ გამოუტანია. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საზოგადოებას ხელი უღლია ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმანი „ორღუნელი ქალის“ გამოცემაზე. საზოგადოების გამგეობა მეტად მორიდებით ეუყრობოდა ვაჟა-ფშაველას.

აქვე უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის საყურადღებო და საკულისხმო შეხედულება ჰონორარის საკითხზე.

როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწე და „ივერიის“ რედაქციის უახლოესი თანამშრომელი გ.რ. ყიფშიძე გადამოგვცემს, ილიას უთქვამს: სალიტერატურო ჰონორარი იშორი მახვილია — ერთით დიდად საჭიროა, როგორც მწერლის ნივთიერად უზრუნველყოფის წყარო. მაშასადამე, მწერალს ძველად დამოუკიდებლობა და შესაძლებლობა აქვს აძღვოს მას მთელი თავისი დრო ენებრივ მუშაობას, თავის შემოქმედებას შესწიროს. მეორე მხრივ კი სასყიდლის მიღება თითქოს საგაბრიო სავადა ხდის მწერლის ნაწარმოებს, მის ტყუა-გონების ნაშრომს, რომელიც

წმინდა გულით და ზრახვით უნდა იყოს ჩაფიქრებული, შექმნილი და არარა გრძობა ანგარების არ უნდა იყოს შივ ჩარეული. ამიტომ, ილიას აზრით, ჰონორარის გამოკიდებაშ შესაძლებელია გაიტაცოს მწერალი და ის, რაც მას მოკლე ითქმის, სხარტად და, მაშასადამე, ძლიერად და მხატვრული ზომიერებით, ვაჟაშვილის და მით ნაწარმოებმა დაკარგოს მხატვრული ღირსება და ზომიერება. ცხადია, ილიას ეს შეხედულება უდავოდ ტექნიკურად წარმოადგენს. (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. 1, 1914. გვ. XXXII—XXXIII).

ილიას რომ გამოეთქვა დადებითი აზრი ვაჟა-ფშაველას მიერ ნათარგმნი „ორღუნელი ქალის“ შესახებ, საზოგადოების გამგეობა აუცილებლად გამოსცემდა მას. მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოეტურ სახელსა და მის უხადლო შემოქმედებას ამ თარგმანის გამოცემა უთუოდ ჩრდილს მიაცუნებდა, და, შესაძლებელია, მომავალ თაობას ილიაც ვაჟა-ფშაველა არაობიექტური შეფასებისათვის.

როგორც ვაჟა-ფშაველას პირად არტივად ჩანს, ეს თარგმანი 1904 წ. სექტანზე დასადგმულად განწერსახავთ და 25 მანეთს დააბრებთან პირველ წარმოდგენაში, მაგრამ არ ჩანს, დაიდვა თუ არა.

რევოლუციამდელ საქართველოში ქმწკგ საზოგადოება ერთადერთი ქართული ეროვნული დაწესებულება იყო, რომელსაც თითქმის ყველაფერი ევალებოდა: საერთაშორისო გამოწვევნებ საქართველოსა და ქართველი ერის სახელით მსაქმეობების მიღება, (პარიზის, ლეიფციგისა და სხვა გამოწვენები), ქართველ მოღვაწეთა პანთონის დაარსება; ვარდაცვლად ქართველ მწერალთა ღირსეული დაკრძალვის ორგანიზაცია, რუსეთის, პოლონეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების სახელითანი აღმანიგნის რევილიგებში მონაწილეობა; კავშირი და ურთიერთობა რუსეთისა და უცხოეთის დაწესებულებებთან, მეცნიერებთან და კერძო პირებთან; უმაღლესი მთავრობისაგან ნებართვის გამოთხოვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში ქართული წიგნებით სარგებლობის შესახებ.

საზოგადოების გამგეობის მთელი შემადგენლობა, გარდა მღვინისა, უსასყიდლოდ და დაუზარებლად მუშაობდა ორმოც წელზე მეტხანს. ქართველი ხალხი არ დაივიწყებს ამ საზოგადოების დამაარსებელთა და მესვეურების, რომლებიც დიდად უწყობდნენ ხელს მის მოღვაწეობას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და სახედნიეროდ.

შევის ადგილობრივი მთავრობა მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა ამ საზოგადოებისადმი, იგი რეპრესიებსაც არ ერადებოდა ცალკეული პირების მიმართ. იყო შემთხვევები საზოგადოების გამგეობის ვაზრებისა, წიგნების საწყობის დალუქვისა, მღვინებისა და მასწავლებელთა დაბატონებისა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის შტაბს, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ხალხის ყველაზე სასიცოცხლო ძალები, რათა არ შემწყდარიყო ქართველი ერის მაცუისცემა, ქართველი ხალხის ისტორია — მისი დიდი წარსულით, მოღუშენილ აწმყოთი და ნათელ, მომავლით.



ო. ა. ბახუტაშვილი-შულგინა

გამოჩენილი მომლქალი და პეღაბობი

ნინო ბახუტაშვილი

საქართველოში პროფესიული ვოკალური კულტურის განვითარებაში ო. ბახუტაშვილი-შულგინას თვალსაჩინო ადგილი უკავია. პირველ ქართულ ოპერებში მან პირველმა შექმნა გულჩინას (დ. არატიშვილის „თქმულბა შოთა რუსთაველზე“) და ეთერის (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“) სცენური სახეები. საოპერო თეატრის სცენაზე ო. ბახუტაშვილმა განასახიერა რუსული და დასავლეთევროპული კლასიკური ოპერების გმირი ქალები: ჩაიკოვსკის ოპერებში — ტატიანა („ევგენი ონეგინი“), ლიზა („პიპის ქალი“), იოლანტა („იოლანტა“), მარია („მარია“), შაშა (ნაპრავენის ოპერაში „დუბროვსკი“), თამარი (რუბინშტეინის „დემონში“), აიდა (ვერდის „აიდა“), ვალენტინა (მეიერბერის „პუგენოტივი“), ბატერფლერი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სან“) და სხვ.

ო. ბახუტაშვილი პირველი ქართველი მომღერალი ქალია, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ ჯერ დამსახურებული, შემდეგ სახალხო არტისტის წოდება. იგი აგრეთვე ერთი მთელი პირველი ქართველი ვოკალისტი — პროფესორია. ქართული საოპერო თეატრისათვის ო. ბახუტაშვილმა აღზარდა მომღერალთა მრავალიცხოვანი კადრები. მისი მოწაფეები წარმატებით გამოიღან საბჭოთა კავშირის თეატრებსა და საკონცერტო ესტრადებზე. იწე-

ვიან ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას მუსიკალურ სასწავლებლებსა და კონსერვატორიაში. ბახუტაშვილი-შულგინა იწეოდა სამეცნიერო მუშაობას ვოკალური პედაგოგიის დარგში, აქვეყნებდა თავის მნიშვნელოვან სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის შრომებს, ამასთან აქტიურად მონაწილეობდა მუსიკალურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ოლდა ალექსანდრეს ასული ბახუტაშვილი დაიბადა 1879 წელს ქ. ქუთაისში, ექიმ ალექსანდრე სიმონის-ქე ბახუტაშვილის ოჯახში. უფრო გვიან ალ. ს. ბახუტაშვილი ოჯახითურთ თბილისში გადმოვიდა და გუბერნიის ექიმად დაინიშნა. დედამ — ოლდა ვასილის ასულმა სიცოცხლე მთლიანად თავის ორი ვაჟისა და სამი ქალიშვილის აღზრდას მიუძღვნა. მან ჩაუნერგა შვილებს მუსიკის სიყვარული და მათთვის ფორტეპიანოს მასწავლებლად მიიწვია მუსიკალური სასწავლებლის პროფესორი ი. მატკოვსკი.

უფროსი ქალიშვილი — ოლდა თავდაპირველად სწავლობდა პროფესორ ი. მატკოვსკისთან კერძოდ, ხოლო შემდეგ შევიდა მუსიკალურ სასწავლებელში მისსავე კლასში. გოგონა დიდ მუსიკალურ ნიჭს იჩენდა და პროფესორის საყვარელი მოწაფე გახდა. ბუნებამ ოლდა დააჯილდოვა მდიდარი მუსიკალური მონაცემებით, ასევე მიმზიდველი გარეგნობით, რომელიც ჰარმონიულად იყო შერწყმული შინაგან მიმხიბველობასთან, რაც მომავალში ესოდენ მკვეთრად გამოვლინდა ბახუტაშვილი-შულგინას მიერ შექმნილ მუსიკალურ-სცენურ სახეებში.

ბახუტაშვილების მთელი ოჯახი დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით. ოლდას და ნინო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის ოცენტი გახდა, მეორე და ზინაიდა — პიანისტი-კონცერტმისტერი. ოლდას ძმებს არჩილსა და გიორგის ბავშვობაში კარგი ხმა ჰქონდათ. არჩილის თაოსნობით ბახუტაშვილების ოჯახში სისტემატურად იწყებოდა შინაური კონცერტები, რომელთაც პროფესორი ი. მატკოვსკიც ესწრებოდა. ამ მუსიკოსმა პირველმა შენიშნა თავისი მოწაფის საუკეთესო ვოკალური მონაცემები და დაბეჭდვით მითითებდა, რომ ერეგვინიანთ იგი პროფესორ ე. კ. რიადნოვის სათვისტოს.

ე. კ. რიადნოვმა მოუსმინა ახალგაზრდა მომღერალ ქალს (იგი 19 წლის იყო) და მოხიბლული დარჩა მისი ხმის სითბოთი. მალე ო. ბახუტაშვილმა დაიწყო სისტემატური მეცადინეობა ე. რიადნოვის კლასში. მან სწრაფად მიადგინა დიდ წარმატებას. მომღერალი ქალის ხმა მოკლე ხნის განმავლობაში განვითარდა და გაძლიერდა.

ჯერ კიდევ მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეობის დროს ო. ბახუტაშვილი გამოდიოდა კონცერტებზე — ასრულებდა ნაწყვეტებს ოპერებიდან. ე. რიადნოვთან მეცადინეობის პირველი წლის დამლევს უკვე დიდი წარმატებით მღეროდა ტატიანას წერილის სცენას ოპერა „ევგენი ონეგინიდან“. ო. ბახუტაშვილი-შულგინა სხვებთან ერთად მონაწილეობდა 1900 წლის 7 აპრილს მოწყობილ კონცერტში, აი რას წერდა მისი გამოხტვის დამო ადგილობრივი გაზეთი „ტიფლისკის კლისტის“: „დიდი წარმატებით ხვდა წილად ქ-ნ შულგინას!“, რომელმაც შესარულად

1 ო. ბახუტაშვილი ამ დროისათვის უკვე გათხოვილი იყო, პრესაში და სცენაზე მას მეტწილად მისი მეუღლის — ცნობილი პედაგოგისა და დასავლეთ ევროპული ლიბრეტურის მკვლევარის შულგინას გვირათ იხსენებდნენ.

ვინას არია ობერაოი „სიკოცხლე მეფისათვის“, ნატაშას არია ობერიდან „ალი“, ხოლო ბისზე — არია ობერიდან „მინიონი“... მომღერალი ქალის ხმა საუცხოოდ, დამაბრუნებლად ზგერდა. მან მუსიკალურად გადმოგვტვა გლინკასა და რაგოპსკის ნაწარმოებები და თავი ისახელა, როგორც ჩინებულმა შემსრულებელმა, რომელსაც თამამად შეუძლია დაიკავოს ადგილი პროფესიონალი მსახიობ-მომღერლების გვერდით“.

1900 წელს, ე. რიანდოვი გაემგზავრა დონის როსტოვში, ი. ბახუტაშვილი-შულგინა კი შევიდა მილანოდან ჩამოსული პედაგოგის პ. რონცის კლასში.

1901 წლის 29 დეკემბერს შედგა ო. ბახუტაშვილი-შულგინას დებიუტი თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. ამის გამო ადგილობრივი გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წერდა: „დებიუტანტმა, რომელიც ლიზას პარტიას („პიკის ქალი“) ასრულებდა, მშვენიერი ვოკალური მონაცემები, მუსიკალობა, საკმაოდ კარგი სკოლა გამოამჟღავნა. მისი ხმა წარმოადგენს ლამაზ, ძლიერ (განსაკუთრებით მაღალ ბეჭერებზე) სობრანოს, რომელიც ატკობის სმენას სასიამოვნო ტემპრით“.

1902 წელს ო. ბახუტაშვილი-შულგინა გამოვიდა ორ სპექტაკლში „პიკის ქალსა“ და „აიდაში“. მსახიობი ქალის შესრულება იმდენად კარგი და სრულფასოვანი იყო, რომ ქართველმა ჟურნალისტმა ა. ყანჩელმა უძღვნა მთელი ფელეტონი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში: „ხმა, ბატონობა, ხმა! — წერდა იგი — და მერე როგორი ხმა! ლამაზი, ახალგაზრდული, თანაბრად ზგერადი, იგი მივაქანებთ ბრწყინვალე ტალღებზე და თქვენ სული გეგუბებთ აღფრთოვანებისაგან...“

ქალაქური სიმღერის ასეთი წარმატება რომანტიკული შემოქმედების წიაღში საცებელი ბუნებრივია. ქალაქის სიმღერა უმოკვრესად ლირიკულ-სატრადული ხასიათისა და ადრეულთა იმ მგზნებარე რომანტიკით, რომელიც საზოგადოდ ამ ეპოქის ახასიათებს. სიყვარულის მოტივი და სიყვარულით გამსჭვალული ადამიანის განცდები მასში მივიღის სისრულით არის გადმოცემული. ასეთავე გამოხატულებას მკაცრად ქალაქის სიმღერაში ადამიანის სხვა შინაგანი განცდებიც. ქალაქის სიმღერის სწორედ ეს თვისებები იზიდავდნენ რომანტიკოსებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სალონური კულტურა ასე თუ ისე კარჩაქცეული ხასიათის ატარებდა. იგი სახალხო ხასიათს არ ატარებდა მხოლოდ გარკვეული ჩარჩოებით შემოიფარგებოდა. ქალაქის სიმღერა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთგვარ დემოკრატიზაციას განიცდის და სალონების ვიწრო ჩარჩოებიდან უფრო ფართო ასპარეზზე გამოდის. კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებამ საქართველოში დიდად შეუწყო ხელი აღნიშნულ პროცესს.

როდესაც ხელოვნების ნაწარმოების, კერძოდ კი, სიმღერის ფორმას ვითვალისწინებთ ისტორიული თვალსაზრისით, ადვილად შეგახსენებია ხდება, რომ ფორმა არ წარმოადგენს უცვლელ მოვლენას. ახალი მხატვრული ფორმა გველინება, გველინებ ცხოვრების ახალი მოთხოვნების შედეგად. ქართული ქალაქური სიმღერაც, როგორც ვარკვეული მხატვრული ფორმა მუსიკალური შემოქმედებისა, ცხოვრების მოთხოვნების საფუძველზე აღმოცენდა და მასში ის თავისებურებები აიხსნა, რომელიც ცხოვრებამ დააუენა დღის წესრიგში.



მოქანდაკე თ. ასათიანის ახალი ნამუშევარი „მომავლადი გვილის ცეცხლი“ (ფრაგმენტი)

ქართული ხალხური კალენდარული სიმღერა

სლომონ იობაშვილი

ქართულ ხალხურ სიმღერებში მუსიკალური ტექსტითა და შესრულებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი სა-
წესწევლებო მომენტებით, მნიშვნელოვანი ადგილი უკა-
ვია კალენდარულ სიმღერას „ალილოს“, რომელიც საქარ-
ფელოს მრავალ კუთხეში, განსაკუთრებით, კახეთში იყო
გავრცელებული. ჩვეულებრივ ცნობილია, რომ „ალილო“
დაკავშირებული იყო რელიგიურ თარიღთან და სრულდებ-
ოდა ქრისტესშობის დღესასწაულზე, 25 დეკემბერს. მაგ-
რამ ხალხის გადმოცემით, ძველად „ალილოს“ ჰაზგის მღერ-
ით მთელ კვირას და უფრო მეტხანსაც დადიოდნენ ხოლ-
მე. ასე ასრულებდნენ, წარმართულ საგაზაფხულო საყვე-
დღიერო სიმღერას „ჭონასაც“. ეს გარემოება და ზოგიერთი
სხვა მომენტის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ „ალი-
ლოს“ მუსიკალური ტექსტის წარმოშობის ისტორიული
ფესვები შორეულ წარსულშია და არა ქრისტიანულ დღე-
სასწაულებში, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰკო-
ნია.

სიმღერა „ალილოს“ წარმართული ბუნების დასადგე-
ნად მოკლედ შეგვიხატო იმ პერიოდს, როცა იგი სრულდებო-
და მრავალფეროვანი წარმართული საწესწევლებო ცერემო-
ნიის თანხლებით.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში უაღრესად საინტერესოა ის,
რომ ქრისტიანულმა რელიგიამ წარმართული მივარის
დღესასწაული შესცვალა ქრისტიანული წმინდა გიორგის
დღესასწაული, რომელიც ძირითადად ორჯერ იმართება
წელიწადში 14—15 აგვისტოსა და ნოემბრის შუა რივე-
ში. ამ ფაქტს თავის დროზე ყურადღება მიაქცია დიდ-
მა ქართველმა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც
აღნიშნა, რომ ქართული „ლამპრობა“, სენაური „ლიმპა-
რი“, მივარის დაბადებისა და მსახურების ნაშრობა; ხალ-
ხი, ანთებული არყის ეგვიტო ხელში ამ ღვთაებას დიდებს
ფეალობდა ხოლმე¹ და იქვე დასძენს, რომ „ეს დღესას-
წაული ზამთარში იცის უმჯობესად, რამდენიმე კვირით ად-
რე დიდმარტვის წინ. საბოლოოსაც ჰქონდალ სწორედ
ზამთარში, სახელდობრ იანვარში, დიდი უქმე, რომლის
დროსაც ღვთაების სადღებობად ნაშვის ტრეტებს ანთებ-
დნენ ხოლმე. საყურადღებო ისაა, რომ სწორედ ამ დროს,
24 იანვარს, მივარის დაბადების დღესასწაული იყო და-
წესებული. რასაკვირველია, ჩვენს „ლამპრობა“ და ქარ-
აულების მივარის დაბადების დღესასწაული ერთი და იგი-
ვეა. საყურადღებოა, რომ თეთრი გიორგის ზამთარშიც იცის,
ისა, სახელდობრ 24—25 დეკემბერს, ესე იგი ქრისტეს შო-
ბის დღეს. მაშასადამე აქ მივარის დაბადების დღე ქრის-
ტეს დაბადების დღეს მიუზღნია“-ო.

თუ დავეყრდნობით ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევას,
გამოდის, რომ მივარის დაბადების დღესასწაული
წმინდა გიორგისა და ქრისტეს შობის დღესასწაულებს
შეუცვლიათ და მაშასადამე, „ალილოც“ მივარის დაბადე-
ბისადმი მიძღვნილი ჰიმნი უნდა ყოფილიყო თავდაპირვე-
ლად.

მაგრამ ეს მოსაზრება „ალილოს“ წარმოშობის ისტო-

რიული ფესვების დასადგენად არ არის საკმარისი. ჩვე-
ნის აზრით, „ალილოს“, როგორც წარმართული სადიდ-
ებელი ჰიმნის, ფუნქციები არ უნდა იყოს დაკავშირებული
მივარის დაბადების დღესასწაულთან, რაზეც ქვემოთ გვექ-
ნება ლაპარაკი.

ამაგვად ჩვენთვის საინტერესოა დაპირისპირება წმ.
გიორგის სახელობის ორი დღესასწაულისა, რომლებიც
ურთიერთის მიმართ მთელი რიგი წინააღმდეგობებითაა
აღსაყვე.

ცნობილია, რომ 14-15 აგვისტოს გამართულ თეთრი-
გიორგობის დღესასწაულზე, რომელმაც ივ. ჯავახიშვილის
გამოკვლევით, მივარის დღესასწაული შესცვალა, თავს იყ-
რინდა საქართველის დიდძალი მოსახლეობა. ხალხი ტანა-
რით და მესე ათევადა, იქვე სწირავდა სამსხვერპლო პი-
რუტყვს, რომლის ხორცის უკან — ოჯახში წამოიღება არა-
ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება. წელიწადის მიწუ-
რულში გამართულ წმინდა გიორგობის დროს კი, დღე-
სასწაულს ძირითადად ოჯახებში იხილდნენ, თუცა მისი
სახელობის ეკლესიებშიც მიდიოდნენ სალოცავად და
მსხვერპლის შესწირავად, შემოდგომაზე, გიორგობის დღე-
სასწაულის დროს. დაკლული მსხვერპლი უმეტესწილად
სახლებში მიტანდნენ, ან საერთოდ სამსხვერპლო პი-
რუტყვს — ბერიზარას² ოჯახში ჰკლავდნენ. ბერიზარა
წარმოადგენს ღვთისადმი შესაწირავად აჯრბილ
ხარს, რომლის დაკლვას მოსდევდა პურის ჰამა — ე. წ.
„ღვთის შირვა“ (რაზედაც პატრიარქობდნენ ახლო ნათესა-
ვეებს და მეზობლებს). მისი გადახანის დროს მთელი რიგი
წესები სრულდებოდა, რომელთა დღდაზრი საკუთარი
სახლის, ვეარის ან ახალი მოსავლის დალოცვას ემსახუ-
რებოდა.

„ბერიზარა“ ხარს დაკლვის წინ რტყვე კელაპტრებს
დაუნთებენ და ევერდებიან ღმერთს, რომ გულწრფელად
მიიღოს მსხვერპლი და დათქმული პირობის მიხედვით
გაუწყოს მფარველობა მათ ოჯახს. ბერიზარას ხორ-
ცის შენახვა ან გაყიდვა არ შეიძლება. იგი უნდა შეი-
ტამოს „ღვთის წირვის“ დროს ან ახლობლებს განაწილ-
დეს.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია „ღვთის წირვის“
სახეობი საწაულის — ექვიის მსვლელობა. სუფრას მანამდე
ვერავინ მიეკრება ახლოს, ვიდრე ღვთაების სადიდებობად,
სახლის და პურმარობის დასალოცად „ალილოს“ არ იმ-
ღერებენ. ამ წესის შესრულების შემდეგ კი, ოჯახის უფრო-
სი დასახლების საძირით ზვიძის მონაწილეობას უკმაშ-
პინძლობდა ახალი მოსავლით შემავსებული პურ-მარობის
და სასმელით, რის შემდეგ ქართული სუფრის ადათით
წარმართება ღვთის. მთელ ამ პროცესში აშკარად მოჩანს
წარმართული გვაროვნული საზოგადოებრივი ცხოვრების
პირველყოფილი ფორმები. საყურადღებოა, რომ სამართო
სუფრას წინ უსწრებდა „ალილოს“ შესრულება, რომელიც
ოჯახის, ვეარისა და დიოვლით თავისებურ ჰიმნ-დალოც-
ვას წარმოადგენდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ „ალილო“
თავდაპირველად მიძღვნილი უნდა ყოფილიყო მოსავლის
აღება-დაძინების ღვთაებისადმი. შემდგომ ქრისტიანულ-
მა რელიგიამ წარმართული წესწევლებები მასთან და-

¹ ივ. ჯავახიშვილი „ქართული ერის ისტორია“ წიგნი 1, 1928 წ.
ნაწილი, გვ. 55.

ლა ისეთ წარმართულ დეობათა საკუთარ სახელებს, როგორც არის: „ნანა, ნანაია, ნანუნო, რანწნი, დევა, ლაღე, ლილე, არაღე, ალოღე, ალათა“ და სხვა. ისინი „წარმოადგენენ ღმერთების საკუთარ სახელებს, ან-და ყოველ შემთხვევაში, უძველესი წყაროების საკუთარ სახელებს“ 1.

„ალილოს“ შესრულების წესწლებებში აშკარად შეიმჩნევა წარმართული ნიშნები. განსაკუთრებით ყურად-ღებას იქცეს: ა) ალილოს „შესრულებულია სიარული-ოჯახებში 24-25 დეკემბრის დღეს, ბ) ბერიკობა-ყვეთბი-სა და ჭონის მსგავსად ალილოს შემსრულებლებსაც ჰყავ-დათ ამირჩეული ხელმძღვანელი — ბელალი, საღვთო შე-საწირი პროდუქტების შემკები და სხვ. საგანგებო დღესასწაულების მსგავსად, ალილოზე მოსიარულებები ამა თუ იმ ოჯახში მისვლისას სარგებლობდნენ დიდი პატივი-თა, და მათ მიერ კარგად თქმული ალილო, ხალხის რწმე-ნით, მოასწავებდა ოჯახის ბედნიერებას, დღვალათი ავ-სებას. ალილოთი ოჯახის დალოცვას, კახელების რწმენით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თუ ოჯახი მკლოვიარე იყო, ალილოს აღარ ათქმევი-ნებდნენ და სიმღერის შესრულების გარეშე გაისტუმრებ-დნენ სხვადასხვა სურათ-სახოვავთა. ალილოზე შემოვ-ლით მოგრივილი პროდუქტებით ღმერთს საომართოს შეს-წირავდნენ, რათა ახალი მოსავლი „სულ მზიარულებში და ქორწილებში მოხმარებოდათ“. იყო შესთვევა, როდ-ესაც ოჯახი არ გაუმსახიბდებოდა ალილოს თქმულებს. მაინც ეს უკანასკნელი მეორედ მიაშფერებდნენ ალილოს, რომელსაც შემდეგი დასაწყევარი ტექსტი ეყო საფუძე-ლად:

მალა ისარი ავარი,
ძირს დაღევა ლაქაუთა,
თქენი ოჯახი ვაივას
გველითა და ბაუთათა

ეს სიტყვები მიანდათ ოჯახის გაპარტახების მომას წყებდნენ. ყველა ოჯახი ცილიზბდა, რაც შეიძლება, მეტი პატივისცემით გასტუმრებინა ალილოზე მოსიარულებები. ხალხის რწმენით, ალილოს შემსრულებლებს აღტურვილი იყვნენ რაღაც ზებუნებრივი ძალით. და მათ რისგავზე თუ მოწყალებაზე დამოკიდებული ყოფილა ოჯახის ბედნიერე-ბა ან უბედურება ოჯახში, მათი მიუსვლელობაც ცულის მომასწავებლად ითვლებოდა.

თუ აღნიშნულ წესებს შევადარებთ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, შევამჩნევთ, რომ მათ შორის ძირეული სხვა-ობაა.

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, „ალილო“ ქრის-ტის დაბადების საღვთსაწაული მოსალოცი სიმღერაა, სა-დაც მთავარი ადგილი უჭავია ქრისტეს დაბადების აღწე-რას. ხალხური ტრადიციის მიხედვით კი, „ალილო“ ოჯა-ხის, კერხისა და საერთოდ დღვალათის დასალოცი ჰიმნი-სიმღერაა.

„ალილოს“ გვიანდელ ტექსტში, მიუხედავად ცლი-ლებებისა, მაინც შეიმჩნევა სახლის დალოცვის მომენტე-ბი. „ალილოს“ ტექსტებში ხშირად ვხვდებით სიტყვების შექაჩიურად ჩართვის მაკლოვებებს, რაც ასე აშკარად მოს-ჩანს ალილოს ერთობ საბურ ვარანტში:

იცდაბთხა ამ თვისა;
ხალო საღვთონო ნაგებო,
საშიარული ნაცვითი.
ქრისტე დაბადებულა;
ხალო, ღმერთმა ავაშენოს. (იხ. № 1 „ალილო“)

საინტერესო ტექსტზე ავებული ლიტხუმური „ალი-ლო“, რომელშიც კვლავ თავს იჩენს შინაარსობრივი შეუ-საბამობა.

1 ა. სვანიძე „შესავალი აღმართული ტომთა ისტორიისათვის“ 1936 წ. ამონაგებელი.

„ქრისტეს შობა გვიხაროდეს:
 აწუნებთ ავაშენოს,
 როგორც შიოს მარანიო“ და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ირკვევა, „ალილოს“ დასაწყისში მოცემული სიტყვები თუ ქრისტეს დაბადებას ასახავს, უმრავლესი სიმღერების შემდგომი მუსიკალური განვითარება ხდება სიტყვებზე „სახლო საღვთისოდ ნაკვთო, სამხიარულოდ ნაცეთო“, ან „აწუნებთ ავაშენოს, როგორც შიოს მარანიო“-ო. თითქმის ყველა „ალილო“ ბოლოვდება ჰიმნური ჟღერადობის მაკორული ხმოვანებით სიტყვებზე „სახლო ღმერთმა ავაშენოს“. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს „ალილოს“ პირვანდელ დანიშნულებას, — როგორც ქერის, სახლის სადიდებლად მიმართულ ჰიმნურ სიმღერას.

„ალილოს“ მუსიკალური ტექსტის მელოდიური ქარვა არაჩვეულებრივად ამაღლებული ტონუსითა და ჟღერადობით ხასიათდება. ამ სიმღერებში ისევე, როგორც სხვა უძველეს ქართულ ხალხურ სიმღერებში, ძირითადად გაბატონებულია ეოლიური კილო. ეოლიური და მიქსოლიდიური კილოებით ქართველმა ხალხმა გამოხატა ყველაზე ადრეული მუსიკალური მხატვრული სახეები.

„ალილოს“ მუსიკალურ ტექსტს ახასიათებს უაღრესად მგრადი, ამაღლებული ჰიმნური ხმოვანება; სიმღერა ვითარდება პირველ და მეორე ხმებს შორის ურთიერთ მონაცვლეობის პრინციპზე, მათ ერთვის გაბამული ბურღონული ბანი. სრული სამხმიანობა მოცემულია მხოლოდ სიმღერის მეორე ნახევრის ზოგიერთ ადგილში, განსაკუთრებით ფინალში, რომელიც „ალილოს“ ჰიმნური ჟღერადობის აზრობრივ დასკვნას წარმოადგენს. ამ სიმღერაში ხმათა ურთიერთ დაპირისპირებით მიღწეული სამხმოვანება უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ადრეულ საფეხურად, რომელმაც ხელი შეუწყო უფრო რთული ფორმის სამხმიანი საგუნდო სიმღერების განვითარებას. „ალილოს“ ზოგიერთი ვარიან-

I რაფაელი

ქრისტე ში. ბა და. ბა. დე. ბუ. ლა
 გა. თე. ნე. ბუ. ლა

II რაფაელი

ქრისტე ში. ბა და. ბა. დე. ბუ. ლა
 გა. თე. ნე. ბუ. ლა

III რაფაელი

ქრისტე ში. ბა და. ბა. დე. ბუ. ლა
 გა. თე. ნე. ბუ. ლა

№ 2 „ალილო“

ა. ლი. ლი ა. ლი. ლი ში. ქო

ბუნდი

ო. ცვა ხუ. თხა აქ თვე

II რაფაელი

ქრისტე ში. ბა და. ბა. დე. ბუ. ლა
 გა. თე. ნე. ბუ. ლა

ტის სიტყვიერ ტექსტში იმდენადაა დამკვიდრებული ქრისტეს შობისადმი მიძღვნილი შინაარსი, რომ ძნელია ამაკარად რაიმე ითქვას მისი წარმოშობის წარმართულ ბუნებაზე. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს პროფ. გ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი „ალილო“ (იხ. მაგ. № 2).

„ოცდა ხუთსა ამ თვეს,
ქრისტე დაბადებულა,
შობა გათენებულა,
მადლი მახარობელსა,
სახლის გამხარებელსა.“

მრავალმხიერო“.

აქ უნდა დაუკვირდეთ იმ საყურადღებო გარემოებასაც, რომ ქრისტეს დაბადებით პირველ რიგში შობის დღე გათენდა. ალილოზე კი მხოლოდ მაშინ დღიან, როდესაც საკმაოდ დღადმეტილია. ამასთან, „ალილოზე“ მისიარულეობით თავიანთი მიხვას რომელიმე ოჯახში ატყობინებენ კულექტიური შეძახილით: „აგაუნთო, აგაშენთ“, ან გუნდის წინაძმობლი დილოცება: „ღმერთმა ააშენოს ეს ოჯახი და ურჩავას პურმარაში“-ო. ამ სიტყვების გავრცელებაზე შეალოლებს მასხაძემიელ გამოგებებოდა, სახლის

შესასვლელ კიბეებთან ან მარანთან ამღვრება „ალილოს“, შემდეგ სახლშიც შეიპატოებდა დასალოცად და: განმთქრებიო „ალილოს“ სიმღერით დალოცვებოდა. ოჯახის წევრნი აწიანშული „ალილოს“ მუსიკალური ტექსტით (ფამიქსოლიდური) ისევე, როგორც საერთოდ ყველა „ალილოს“, მღეროდნ და მიმზრუნია; მას ხელს უწყობს დიხვი აკორდული ფაქტურა, რომელიც ხუთი ტაქტის ფარგლებში ვითარდება. საგუნდო პარტია თითქმის უცვლელად მეროდება ყოველი მუხლის დასასრულს. მხატვრული სახე მიღწეულია ცალკეული ხმების დაპირისპირებით; მხატვრული აზრის დასკვნითი ფუნქციის შესრულება უხდება სამხმარს ვუნდს. დადგენა იმისა, თუ როგორი რიტმის ინტონაციური წყობით სრულდებოდა თავდაპირველად „ალილო“, სირთულეს წარმოადგენს.

ამრიგად, ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებული კალენდარული სიმღერები თავიანთი მხატვრული დონით მაღალ საფეხურზე დგანან. ამ სიმღერების განვითარებას მარტვილიან რთული ფორმის მრავალმხიარობამდე ხელი შეუწყო თვით ქრისტიანულმა კულტურამ, რომელმაც ოჯახის დოღლათიანობის მფარველი დღესობისაში მიძღვნილი ჰიმნი „ალილო“ გადააქცია ქრისტეშობის საღელვარეული სიმღერად. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ამ პოპულარულ რიტუალს განვითარების სახით მოედწია ჩვენს დრომდე.

თვითნაკითი ურიფთისა და წიგნის მისხი ავტორი

ნოე ფარჯანძე



კად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში აღმოჩნდა ორი საყურადღებო ხელნაწერი (№ 36 და № 44). ამ დოკუმენტებში ირკვევა, რომ ვინმე იოსებ ხუციანოვს საბეჭდი არ ენახა, მაგრამ თვითნაკითი შრიფტით ორი წიგნის დასტამება მოუხერხებია. ერთ წიგნს, რომელიც მუზეუმში ინახება, „პარტეზი“ ჰქვია. როგორც თავფურცელი იუწყება, იგი სასულიერო წიგნია, „რომლის შინა შეიკრიფებთან მრავალნი მხურვალე ლოცვანი“, იგი ქართული მხატვრული შრიფტით არის აწყობილი. თავფურცლის მიერვე გვერდზე აკვანძული დახატულია დღესთმშობელი ყრმა იესოთი ხელში, წარწერით: „წმინდაო მარიამ, შეოს მესყავ ჩვენ“. მხატვრულად გაფორმებულია სხვა გვერდებიც.

„პარტეზის“ სახელწოდების ზუსტი განმარტების და ავტორის სასტამბო საქმის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წიგნებს იძლევა წიგნის ბოლოში დართული ლექსად დაწერილი ანდერძი-მოხსენება:


„ჩემს ძალზე მეტი საქმე დიკვნობაშიდ აესახე,
საღნობელი მადნისაგან წერვის ასონი ჩაესახე.
სახეჭდავი არ მენახა, — ორი საქმე გამოხახე,
კურსი ვჰკარი, ჩამოვასხი, ქალაღზედა ასო ენახე.
წამკითხველსა გიადვილებს, ამ წიგნის თარეხს ნახე.
ჩინს ასო ხელდ დაიყარ, ყვარი მის ახლო მონახე,
ოცდაათი ლასით შეჰკარი, ეჭვისი მასთან გამოსახე.
სრული თარეხი მან გამეცნოს, მეფუთე თვის 7 ნახე:
აღვსარულე იესოს ძალით ზემოსწენებულ თარეხსა.“

სასჯელი ბევრი ვაჟივი ვვირგვინად მივეცი ერსა:
სახელი დავდე პარტეზი, ქართულად ბალი თარგმნესა.
მომიხსენიეთ მეც, ძმანო, თქვენი ლოცვის წელი
მგდესა:

როგორც ამ მინაწერიდან (ანდერძიდან) ჩანს, წიგნის დაბეჭდავზე ავტორს დიდი ჯვაბა (სასჯელი) ვაუწყებია და თავის ძალღონეზე მელი საქმე გაუკეთებია. როგორც ბაღშია თავმოყრილი ნაყოფიერი ხეხილი, „პარტეზი“ ყველაზე სასარგებლო „მრავალნი მხურვალე ლოცვანი“ დაბეჭდულია; ამიტომ მისთვის ბალი-პარტეზი უწოდებია. წიგნის დაბეჭდვის თარიღად (თარეხად) ავტორს აღიარებული აქვს ჩე-ჰმლ-ნ მეხუთე თვის 7, ე. ი. 1836 წლის 7 მაისი.

ავტორის ვინაობის გასარკვევად საყურადღებოა „ვინმე მესხის“ ივ. გვარამაძის (XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის საშობაოდ მოღვაწე, მწიგნობარი) ცნობა: „ხუციანოვები იგივე მოღვაწეები ხიზაბაგარლი (საპინძის რაიონის სოფელია, ნ. ფ.) მღვდლები იყვნენ“. იოსებ ხუციანოვის მეორე წიგნი ორიგინალური დიდაქტიკური ხასიათის მოთხრობებს შეიცავს. სხვა მის ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან იმავე ი. გვარამაძის განმარტებით: „როცა შეუტყვეს, თურმე მოაგრობამ სტამბა ჩამოართვა და გაანადგურა. თვითონ გააპარეს და მღვდლობა აკურძალს. თუმცა იგი მაინც ახერხებდა სხვადასხვა წიგნის გადაწერას და ხალხში ვაგრცლებას. ვარდაიცვალა 82 წლის ასაკში“.

თით „ვინმე მესხი“ — ივ. გვარამაძე რამდენიმე ორიგინალური პატრიოტული წიგნის ავტორია. მისი წიგნები „თამარი პარამხანაში“, „მესხური ანდერძები“ და სხვა თხზულება მშვენიერი ქართული ენითაა დაწერილი და დასტამებულია ახალციხეში. სოფელ ხიზაბაგარში (საპინძის რაიონი) დღესაც ცხოვრობენ ხუციანოვის შთამომავალი ხუციშვილების გვარი.



ო. შაქარაძე

ძველი თბილისის კუთხე

ო. შაქარაძე

ნაკიდულთან





ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსული და

დავით გეგენავა

ახალსენაკი (ამჟამად ტ. ცხაკაის) მდიდარი კულტურული და თეატრალური ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებით აქ წარმოდგენები ძირითადად მოსაყვლ ახალგაზრდობა, ხოლო უკვე 1822 წლიდან ადგილობრივი ძალეობის სისტემატურად ეწყობოდა სულამო-წარმოდგენები, 1800-იან წლებში იღებოდა პოპულარული პიესები: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „საბედისკროლი დამაზა“, „მეგობრობა“, „გამხმარი ფოთოლი“, „და-ძა“, „სამშობლო“, „ქოხნი“ და სხვა.

1896 წელს ხანძარმა მათნათა თეატრის შეწოა. შეწყდა დრამატული წრის მუშაობა, დასი დაიშალა. იმ დროს ენკაში მოღვაწეობდა თ. მიქელაძე (მასწავლებელი, შემდეგ კი ექიმი), რომელიც აქტიურად მონაწილეობდა თეატრალურ ცხოვრებაშიც. მისი ინიციატივით დრამატულმა დასმა დაიწყო კერძო ოჯახებში საჯარო წარმოდგენების გამართვა, ახალ სურათში მშვენიერი სახელი და კარიდამო აქონდათ ბესარიძე, დიმიტრი და ნესტორ მხეიძეებს. მათთან ხშირად იკრიბებოდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. იმართებოდა სუბაზას საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საკუთრებაზე, ეწყობოდა საოჯახო წარმოდგენები. სწორედ აქ მოკვდა თავშესაფარი შენობად დარჩენილმა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებმა. მათ დახმარებისათვის მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას და გავლენიან პირებს, მაგრამ ვერაფრის ვახდნენ. მაგრამ ქართულ ქველმოქმედება და პრაქტისულად გასწავლილი ინტელიგენტმა ენერგიული მცვლენილით 1902 წელს მოხერხდა დრამატული დასისათვის შენობის გამოჩნება (ახლა ამ სახელით მოთავსებულია კაფეირგამზადების რაიონული კანტორა).

შეიკრიბა დასი, სცენას დაუბრუნდნენ ისინი, ვინც ა. ცაგარლის დროს დრამატულ წრეში მუშაობდა. დასი შეიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდებით. ამ წლიდან საკრიშობლად გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრება. ხშირად საკლასობრივად ჩამოიღდნენ თეატრალური კოლექტივები და გამოიხილნენ მსახიობები — ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუჩია, ქუჩუა (შ. დადიანი), ნ. ჩხევიძე, დ. ჩარკვიანი, გრ. ჩარკვიანი, ნემო და სხვ.

1902 წლის ზაფხულზე თეატრის ახალ შენობაში პირველად გაიშა ქართული ხალხური მელიოდიები. ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწვევით — ლოტბანი მიხეილ ქეკელიას ხელმძღვანელობით გაიმართა კონცერტი. გუნდში სხვებთან ერთად მღეროდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწვევ, შემდეგ ცნობილი მომღერალი ვასილ შარაბიძე, კონცერტს დიდი წარმატება ხვდა. ხალხის თხოვნით, იგი რამდენჯერმე განმეორდა. იმავე წლის ზაფხულში კონცერტები გაიმართა სუჯუნაში, ბანძაში, აბაშასა და ფოთში.

1904 წლიდან სცენისმოყვარეთა ჯგუფს შეემადგნენ ახალი ძალები. წრეს სტუდენტები და გიმნაზიელები ჩაუღ-

ნენ სათავეში. ამ დროსათვის აქ უკვე რევოლუციურ-პროტესტანტული პიესები („კი გრაკი“, „ურთელ აკოსტა“ და სხვ.) იღებებოდა.

დაღვა 1905 წლის ბოლოქარი დღეები. ხალხის რევოლუციურ აღგზნებას დასი აქტიურად ემხაურებოდა; მისი ზოგიერთი წევრი რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობდა. დამარცხდა რევოლუცია და დაიწყო რეაქცია. 1906 წლიდან თეატრის საქმე უკან წავიდა. ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წრეს ბევრი ახალგაზრდა ჩამოსკიდა.

1907 წლიდან დასი კლუბის ახალ შენობაში გადავიდა. ამ პატარა კლუბში ხშირად ისმოდა რევოლუციური სიმღერები, რომლებიც მალე ვრცელდებოდა. თეატრში ვაკონილი სიმღერები ახალგაზრდებს ქუჩებში გამოჰქინდა. აქვე სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები, რომლებსაც კლუბის გამგებმა ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, ახალსენაკში ვასტროლებს აწყობდა ქუთაისის დასი. მის წარმოდგენებს მუდამ დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

ახალსენაკიდან აქციენტის ცაგარლის წასვლის შემდეგ თეატრალური დასის დასამართლებლად ხშირად ჩამოიღდნენ ვალერიან გუჩია, ვასო აბაშიძე და მკყო საფაროვა-აბაშიძისა. ახალსენაკის ხშირი სტუმარი გახდა ქუჩუა (შ. დადიანი).

1912 წლიდან თეატრალურ ცხოვრებას განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეცემა. დასში მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი სცენისმოყვარეები — ა. ხორავა, ვ. ჯაკობია და ა. ჯ. ლავინავა. დასმა დაღვა დ. ერისთავის „სამშობლო“ და ა. სულბანიშვილ-იუნიუსის „დაღატი“. ეს წელი ახალსენაკის თეატრალური კოლექტივის ცხოვრებაში ადამკვლობის წელი იყო. მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა დროებით შეაფერხა თეატრალური ცხოვრება და თითქმის ორი წლის განმავლობაში კლუბის სცენაზე ერთხელაც არ გახსნილა ფარდა.

1916 წელს ახალსენაკის ცენტრალური (ახლა ჰუკუკავაძისა და წერეთლის) ქუჩის კუთხეში მშენებმა სანიციკებმა თეატრისა და სასტუმროსათვის სამხარულიანი შენობა ააგეს. ერთ მხარეს მოთავსებული იყო თეატრის სრული და განიერი სცენით. თეატრის დარბაზი 800-მდე მაყურებელს იტევდა. აქვე იყო კინოდარბაზი 400-მდე მაყურებლისათვის. შენობის მეორე მხარე (ახლანდელ ჰუკუკავაძის ქუჩაზე) ეკუთვნა სა ნორმის სასტუმროს, რესტორანს, ლიონნაის ქარხანას და სხვ.

სანიციკების მოწვევით დრამატული დასი გადავიდა ახალ შენობაში. შეიკრიბა დრამატული საზოგადოება (ამ საკმის ინიციატორი იყო ქმწვეკ საზოგადოების სენაკის კომიტეტის გამგებმა და მისი მდივანი ბ. ლორთქიფანიძე). გამგებობის თავმჯდომარედ არჩულ იქნა მერი დადიანი, მდივანი — ჯარიანი დემოპოლიზებული ახალგაზრდა ექიმი ს. ქველანი. უფროსი თაობის სცენისმოყვარეებთან ერთად დასი ს. ხოფერიანი, ც. ხოფერიანი, ქ. დაწლიანი, ვ. ხვიჩია, ო. ვასალაია, ნ. მატახირია, ფ. თევზაია, შ. გოჯია, ვ. გუგენავა და სხვ. შეადგენდნენ. სუხონი ვაისნა შოქვაშვილის ბიქით „მეგობრობა“. არჩილის როლს ასრულებდა სუხონი დაღვა აგრეთვე „არსენა“, „ბატონი და ყმა“, „მსხვერპლი“ და სხვ.

1917-1918 წლებში დასში მუშაობდა მეტად ნიჭიერი

1 ახალსენაკში თეატრალური კოლექტივის ორგანიზაციაში დიდი როლი შეიძლება ცნობილ დრამატულმა ავტორმა (საქო) ცაგარელმა, რომელიც მაშინ იქ ცხოვრობდა. იგი წერდა პიესებს და თავის მეტელე ნაწილს გაუცნობარებდა მათთვის, ვინც მონაწილეობდა თეატრალურ ცხოვრებაში. ჰავდა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა დასი, რომელიც იმ დროს სტრიოზულ თეატრალურ ძალას წარმოადგენდა. ა. ცაგარელმა დიდი როლი შეასრულა ახალსენაკის თეატრისათვის შენობის გამოჩნების საქმეში.



ახალგაზრდა გ. კიზირია. სამწუხაროდ, იგი მალე გარდაიცვალა. ამჟამად წლებში დაიდგა „ლიტბრა“, „სამშობლო“, „მემკვიდრე“ და სხვ. თიანეთის რაიონში აკ. ხორავამ აღმასკანში მოიყვანა მასურები. სექტაკლის ბოლოს, დარბაზში იყავითა და იმდენს არ დაქვინდა.

სენიონოვსკარები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ. მცირედ გასაძრავლო ქვიშოლით მხოლოდ საავსტროლოდ მოწოდებულ მსახიობებს.

1921 წელად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებების დამარბობის პირველივე თიდან დასმო ახალი ებერკითი განაშობა მუშაობდა. დაინიშნა თეატრის რწმუნებული, ზუგდიდა დაკომპლექტდა დასი, გამოიყო სარეჟისორო კლუბია ს. კეკელია, გ. ჯაკიბიას, ბ. ხოფიაის შემადგენლობით. 1921 წლის ზაფხულში 40-მდე სექტაკლი დაიდგა. რეპერტორში იყო: „უბიდავანი“, „გზაჯვარედინზე“, „ნიმბი ყოფაცქევაში“, „ქობიში“, „სამადისწერი დამაშაი“, „მეგობრობა“ და სხვ. ამ წლიდან მიმდინელოვანად გაუმჯობესდა თეატრის საქმე.

1922 წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ დიდი ზეიმიო იღესსაწყოლა გ. აბაშიძის მოღვაწეობის 50 წლის იუბილო. მთელმა საქართველომ აღნიშნა ეს თარიღი. ახალსეპაში საბჭოთა თაყვანისცემლობი დაესწრნენ გ. აბაშიძის დიდიძელო სადამის. იუბილოის ყველივე დე და მრავალი საჩუქარი მიართვეს. ამ წელს წარმატებით მიმდინარეობდა თეატრალური სეზონი, მაგრამ დაბაში მომხდარი ამბოხის გამო დასი დაიშალა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამარბობის პირველი წლები მძაფრი სოციალური ტილითი აღინიშნა სერგის მარხარა. თუმცა ძველი დროშისქვილი, წარმატებული საზოგადოებრივი წყობა, დამარცხებული იყო, მისი უკანასკნელი ნაშთიერიე მიხენ ცლილობდნენ ხელად არ გაეშუთა საზოგადოებრივი მართვის სადავეები. მაგრამ მუშათა კლასი, რომელმაც მდგრადი ბრძოლით მოიპოვა გამარჯვება, წინ მიიწვედა და ახალდავდა ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის რევოლუციის მოწახიურის დადგას. ასეთ ტილიში თავი წამოყვეს ელემენტებმა, რომლებიც ამღრუწვე წყალში თევზის დაჭერას ლაობდნენ. გასაცდენილობა და შეუგნებელი აღმანიშნაბან შეძღვარი ბრძო განებდა სობდა ვითომ ძველს, მიუღწელს, სინამდვილეში კი ეროვნული კულტურის ძეგლებს.

სწორედ ასეთმა ბრძომა 1922 წლის თებერვალში დაანგრა და დაღუპა სანიციქების თეატრის შენობა. დაიშალა დასი, მაგრამ ქართული სცენის მოყვარული, ენთუზიასტ ახალგაზრდებს მხარი დაუჭირა ადგილობრივმა მოავრობამ და კვლავ აღადგინა იგი. 1923 წლიდან დასამ განახალა მუშაობა. ამ წელს სანიციქების ყოველი თეატრი, რომელსაც უკვე საბჭოთა თეატრი ეწოდებოდა, დაიდგა „ოქროს კერაში“. სექტაკლიში მოსაწოდებოდნენ გოგი ლოშია, დურხან გეგენავა, რეპა შელივა, ისაკი კიზირია, გრიშა თევზათა, აკაკი შუმბაძე, გრიშა ბედი, ელენე კოლიშვილი და სხვ. სექტაკლს წარმატება ხვდა. საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცია სრულიად ახალგაზრდა ელენე კოლიშვილი.

მიმდინელო წელს დასი სამუშაოდ მოიწვიეს მსახიობები მიხეილ სარაული, ელენე სიხია. დასს შეემატნენ აგრეთვე ახალგაზრდები: მიხეილ ბარაბაი, ანტონა ნადარევილი, კოტე ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ხოფია, ბაზუცა ლეორიშვილი, ბაზუცა თევზათა და სხვ. რეჟისორად მუშაობდა მიხეილ სარაული. დასამ დადგა გ. თოდუას პიესა „უტო მიქვა“ (სამეგრელოს გლეხთა ამბოხნიდან), მ. დლიანის „გემეჭკორი“, აგრეთვე მუსიკალური პიესები „ამუღ ყარბი“, „არნიშ მა-ალან“ და სხვ. მიმდინელო წლებში თეატრში მუშაობდნენ მსახიობები — გრიგოლ და დავით ჩარკვიანიც. ამ უკანასკნელის რეჟისორობით დადგა „კაი ვრავი“, „მზის ამოსვლის წინ“ და სხვ.

ამჟამად წლებში იმის გამო, რომ თეატრის ერთი შენობა საზოგადოებრიობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა, ადგილობრივი ხელისუფალთა გადაწყვეტი-

ლებით, სენაქში (ახლანდელ ლენინის ქუჩაზე, იქ სადაც ახალი თეატრი დაიდგება) მდებარე კლდე შენობა თეატრად გადაკეთდა. მარბაზს მიართვეს სცენა, პარტურის ზემოთ გაკეთდა იარუსი, ლოფები, მოქუყი ფიცი და 1925 წელს გაიხსნა პროფსაბჭოს ცენტრალური მუშათა კლუბი.

მალე რკინიგზის მუშათა პროფკავშირულმა კომიტეტმა საფუძვლიანად გადაკეთებულ ერთ-ერთ შენობაში მუშათა კლუბი გახსნა. ამიერიდან უკვე ახალსეპაში ორ კლუბსა და სანიციქების ყოველი შენობაში არსებულ თეატრში რამდენიმე დასი მუშაობდა.

1924 წლის ზაფხულზე ახალსეპის თეატრალური კოლექტივმა და საზოგადოებამ ზეიმიო აღნიშნეს თავიერთი თახამეშაძელის გალერია ვუნის იუბილო. ოფიციალური ნაწილის შემდეგ წარმოდგენილ იქნა პიესა „ციმბირელი“, რომელშიც თეთი გ. ვუნია მონაწილეობდა. სცენაზე ყოველ გამიჩრების მასურებელი ივაციას უმართავდა მცხოვან მსახიობს.

ასვე დიდი ზეიმიო ჩატარდა 1925 წელს შალვა დლიანის საუბილო სლამო. იუბილორამ თავისივე პიესაში „გემეჭკორი“ ბრწყინვალედ შეასრულა დლიანს როლი, ხოლო სიღრმელო ითამაშა მსახიობმა ელი ანდრონიკაშვილმა. მასურებელთა კმაყოფილება გამოიწვია გემეჭკორის როლში სოსო თარაღაშვილმა, ჩიქვანის როლში — გრიშა თევზათამ; ხეცას როლი განასახიერა გრიშა ბედიამ, შავდისი — ისაკი კიზირიამ.

1925 წლიდან მუშათა ცენტრალური (პროფსაბჭოს) კლუბის დრამატული კოლექტივის სათავეში ჩაუდგა დ. ჩარკვიანი, რომელმაც დადგა „ვერაგობა და სიყვარული“, „ჯალაი მამა“, „მუხტეირი ნაბიჯი“, „დარისაბის გასაჭირი“, „გაყა“, „შენი ჭირიმი“, „№ 21 ჯვრით“, „შვილი თუ საყვარელი“ და სხვ. ამჟამად წელს დასმა იროვზალა ქუთათის, ფოთში, ზუგდიდში, სენაკის მარხის სოფლებში — ნოქალაქებსა და ხობში. ერთი წლის შემდეგ კლუბის გამგეობამ რეჟისორად მოიწვია ადგილობრივი მკვიდრი ს. კეკელია. დასში შევიდნენ გ. ნორაკიძე, ი. კიზირია, რ. შელივა, აკ. შუმბაძე, გ. თევზათა, ა. ნადარევილი, კ. კოლიშვილი, ი. გრიგოლია და სხვ.

ძლიერი დრამატული კოლექტივი ჰყავდა რკინიგზის მუშათა კლუბსაც. დასს სათავეში იდგა რკინიგზის პროფკავშირთა კომიტეტის თავმჯდომარე ერ. შუმანი. დასში მუშაობდნენ მსახიობები (კლუბი) — შ. გრიგოლია, ც. გრიგოლია, მ. ნადარევილი, მ. ლომაძე (მამაკაცები) გრ. ბედი, გრ. ჩიქოზავა, ც. შაფათავა, ი. თელია, ც. ქურდოვანიძე, კ. ჯაიანი, გ. დოლიძე, კ. ბეალოა, კ. დარჯანია, კ. კორძაძე, კ. ტიჭინაძე, დ. ესეულა, ა. ჩაჩიაბია, პლ. შაფათავა, E. ჩაჩიაბია, მ. გოჯინავა და სხვ. რკინიგზელთა კლუბის დრამატული წრის დადგებიდან მასურებელთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა „სინათლე“ და „ეი არის დამნაშავე“.

1927 წლიდან ცენტრალური მუშათა კლუბში ახლად დაკომპლექტდა დრამატული წრე. შეიქმნა კლუბის გამგეობა სასაზოო განათლების განყოფილების გამგის გასილ ქობულასი, განათლების მუშათა კავშირის პროფსაბჭოს სამაზოო კომიტეტის გამგეობის თავმჯდომარის გრიგოლ გეგენავას, რკინიგზელთა მუშათა კავშირის პროფსაბჭოს თავმჯდომარის ერ. შუმანისა და სხვათა შემადგენლობით. გამგეობამ რეჟისორად თბილისიდან მოიწვია გერონტი ხელია.

ამ სეზონის დადგამა შორის განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ლაგერნიევის „რდევვა“, კ. კალაძის „როგორ“, „ნახიჯი“ და სხვ.

ერთი წლის შემდეგ, გ. ხელია თბილისს გაიწვიეს. კლუბი ურეჟისოროდ დარჩა. სამაგიეროდ გაძლიერდა რკინიგზის მუშათა კლუბის დასი, რომელმაც დადგა E. ველეკაშვილის პიესა „სინათლე“. ამ დადგმით რკინიგზელთა თეატრმა მასურებელთა აღიარება მოიპოვა. ამის

შემდეგ ზედიზედ რამდენიმე მაღალმატერული სპექტაკლი დაიდგა.

ცენტრალური მუშათა კლუბის ურეჯისოროდ დარჩენილი დასი, რომელსაც მაყურებელი რკინიგზელთა კლუბმა წაართვა, ახლა თვითონ საკუთარი ძალებით შეეცადა აღედგინა რეპუტაცია. განუხორციელებინა ისეთი დადგამა, რომელიც მაყურებლის ღრმა ინტერესს გამოიწვევდა. 1927 წელს მსახიობ ღურსუნ გეგენავას ხელმძღვანელობით აღდგენილ იქნა ლაერენიევის პიესა „რღვევა“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობი ქალები: ტ. თვალთვაძე, ელ. კოლოშვილი, ლ. შიძავა-ღუნდუასი, ქს. ცომაია; ვაჟები: დ. გეგენავა, აკ. შუბლაძე, გ. თევზაია, ბ. არჩაია, შ. გუგუნავა, ბ. გემეზავა, ბ. სერგია, ვ. სვანიძე და სხვ. პირველი სპექტაკლის წარმატების შემდეგ დასს (რკინიგზელთა კლუბიდან) დაუბრუნდნენ: ვ. ბელია, ნ. კორძაძე, ვ. ნორაკიძე და სხვ. დასი კვლავ გამტკიცდა. ზედიზედ დაიდგა პიესები. მათ შორის წარმატება ხვდათ ნ. ნაკაშიძის პიესას „ვინ არის დამნაშავე“, კ. კალაძის „როგორს“ და სხვ. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტმა“ სპექტაკლზე „როგორ“ დაზექდა ვლადიმერ თორდუს და

ეგნატე გვასალიას რეცენზია და კარგი შეფასება მისცა.

დასმა 1928 წლამდე იმუშავა. ხოლო 1929 წელს დაარსდა სატირული ჯგუფი - წითელი შოლტი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ უმთავრესად ახალგაზრდები: დავით ესებუა, ალიომა კვიციველია, ელენე კოლოშვილი, შურა კვიციველია, დავით ჩემია, ნოკო ჩაჩიბაია, რემა შელეგია, ვალერიან (ბუზუ) სვანიძე, ლუბა ჩაჩიბაია, ნიკოლოზ კორძაძე, ვლადიმერ ქეთარაძე, ანტონა ნადარეშიელი და სხვ. სატირულმა კოლექტივმა ერთი სეზონი იმუშავა და მრავალი სკეტჩი, ერთმოქმედებიანი კომედია დადგა. შეასრულა სატირული ნომრები. დასი საკასტროლოდ იყო ამაშაში, ხობში, სამტრედიამი, ზესტაფონში და სხვ. გასტროლოებიდან დაბრუნების შემდეგ კი საკმაოდ გადახალისებულმა კვლავ დრამატული პიესების დადგმას მოკიდა ხელი. 1929 წელს მსახიობ ღურსუნ (ბურსულა) გეგენავას ხელმძღვანელობით დაიდგა შ. დალიანის პიესა „თეთნულდი“, ხოლო მომდევნო პრემიერად წარმოადგინეს თ. მაჭავარიანის „გადამწყვეტი წუთი“, განახლეს კ. კალაძის „როგორ“.



დავით ქეთათვალაძე



ჟ. რუსტაშვილი

ჩაის მკრეფავები

აზერბაიჯანელი მხატვრების შემოქმედება

ა. ჯაფაროვი

სიცოცხლე

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში თვენახევარს იყო ექსპონირებული აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ნაწარმოებები, რომლებიც აზერბაიჯანელმა სახვითი ხელოვნების ოსტატებმა შექმნეს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლის-თავისათვის. გამოფენამ ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესი გამოიწვია.



19 ივლისს გალერეაში მოეწყო აზერბაიჯანელ მხატვართა ნამუშევრების განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ აზერბაიჯანელი მხატვრები. საღამო გახსნა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილების უფროსმა ნ. ქაღივილიმ. მოხსენებით აზერბაიჯანელ მხატვართა შემოქმედების შესახებ გამოვიდა გალერეის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. თოფურია. სიტყვებით გამოვიდნენ ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი შ. კვასხვაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი ელ. ახვლედიანი, მოქანდაკე მ. თალაქვაძე, მხატვრები რ. თარხან-მოლრაფი და კ. ხუციშვილი.

აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სალამ-ზადემ მხურვალე მალღობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ხელმძღვანელ ამხანაგებს გამოფენის კარგი ორგანიზაციისათვის.



ს. სვლაძე

კომპოზიტორ ვარაყარაძის პორტრეტი



მ. აბდულაევი
რაჯოსტინელი ქალები



რ. შაყლაგუა

მომავალი ოსტატები

ტ. ხადიშ-ზაღუ

შეხვედრა





ნ. აბდურახმანოვი

ბრინჯის ველში

მ. რაჯიევი



მირზ - ბაქ...

ქუჩა პრალაში

ბაქო



ც ე კ ვ ი ს ჯ ა ღ ო ქ ა რ ი

(ერთი თავი წიგნიდან)

ალექსანდრე ბურთიკაშვილი

ოპერის თეატრში ტევა არ არის. პრემიერამ და სახე-ლოვანი ოსტატის მონაწილეობამ ზღვა ხალხი მიიზიდა. მოლოდინი გამართლდა. ყოველი აქტის შემდეგ ოვაციებს და აღფრთოვანებულ შეძახილებს დასასრული არა აქვს.

უკანასკნელი სურათია. მტერმა იარაღი დაყარა. მზე-ჭაბუკმა გორდამ სასიკვდილოდ გამზადებული თავისი პირში — ბადრი მტერს ხელიდან გამოაგლიჯა. სამშობლო განთავისუფლებულია. ხალხი ზეიმობს. დასრულდა ლამაზი ზღაპარი. ფარდა დაეშვა და იფეთქა ტაშმა — ხანგაძლივმა, დავცხრომელმა.

1949 წლის დასასრულს მთელი თბილისი ამ პრემიერაზე ლამაზაკობდა და დიდოსტატს ქებათაქებას ასხამდა. კრიტიკოსებმა კალმები მოიმარჯვეს. სექტაკლების ავტორებისათვის ეპითეტებს არ იშურებდნენ. რედაქციები ემზადებინა, რათა თავიანთ მკითხველებს ძველი და ახალი წლის მივზაზე ხელოვნების ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება ამცნონ.

მას შემდეგ ათმა წელიწადმა განვლო და ეს ამბავი გამახსენდა ზალტ „ოტელიოზე“.

ჩემს ცხოვრებაში ბევრი ოტელიო მინახავს სცენაზე. დასრულებიერ მშობლიურ, ჩემთვის გასაკებ და გაუგებარ ენაზე წარმოსახულ ოტელიო, ბევრი აღუფრთოვანებოვარ, ზოგს ვაგუტისცნობარ.

„მშვიდობიანი ჩემო მხიარული კმაყოფილება! მშვიდობით, სპანო ჯილოსანნი, დიდმო ბრძოლანი“ ...

და ცრემლი დამიფრქვევია.

მაგრამ ცეკვას ხომ არ ძალუძს ენა აიღვას და მაყურებელი სძენად გადააქციოს. მოხდა სასწაული. ზალტ „ოტელიოში“ მგზნებარე მაკონა უსიტყვოდ დაგვიკაყო, გაკვიტავდა და განგვაცდევინა ის წუთები, რაც დიდი ოსტატების მიერ არ როლის შესრულებისა გვიგრძენია. ყოველისშემძლე ნიჭმა ხელოვნების მხრასანებელ მწვერვალს მიადრია.

დიდოსტატის თავისი სადარი მემპატიანე სჭირდება, ოკანეთა ტანლების მხოლოდ დიდი ხომალდი გააპოებს და არ იალქნიანი კარტაპი.

ასეთი მემპატიანეი გამოჩნდნენ. ისინი ამ ხელოვანის ყოველ ნაბიჯს სცენაზე, მის თვითოდ ყვესტს, სახის მოძრაობას, ტანის მოქნილობას, კუნთების სილამაჭეს, პლასტიკას, განუზომებელ პირუტყვს გამოუნახავენ ახსნას და შეყინიერულად გამაქმებულ მემეცნებითი მნიშვნელობის ტომებს უღვნიან მიზნაში მიზნეს.

მაგრამ კი ვიწრო წრის სპეციალისტებისათვის იქნება განკუთვნილი. ქვეყნის ბატონ-პატრონა — მშრომელ მასხესაც ხომ სურთ თავიანთ საუკეთესო შვილთა ცხოვრება იცოდნენ. და მეც ვაგებედ, ხელი შევმართო ალაპამ და უზარალო ენით, ვასაკებად მოვთხოვნი თანამომქმებს მუჭაბუკის — ვახტანგ ჭაბუკიანის ამბავი.

ვამბობ უზარალო ენით. მერე და განა ეს ასე იოლია? ერთი იმედი მაქმნევს. ვანზარებამ ვამიტოცა და მთლიანად შემეშენა. ვახტანგმა ხომ დიდი გრძობისა — სიყვარულის დასაბამია. სიყვარული კი გამარჯვების პირველი საყინდარია. მაშ, რუსთაველის არ იყოს, გამოვიყენო.

„სიყვარული გზად და ხილად“.

და თუ მიზანს მივადწევთ, ვადილით ეს სიყვარული.

მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სამარეში თან ჩააყვება.

აკაკი

ვინ მოთვლის, საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხს რამდენი ბრძოლა ვადუტანია, რამდენჯერ გამარჯვების სიკტიო უეგმინა და მარცხის სიმწარეც ვანუცდია. კალი-ასაკიო შემოსეულ მტრის ურდოებს ბევრჯერ ჩვენი ხალხი დაუძლეულია, მაგრამ ვერასოდეს ქელი ვერ მოუხრევიენი-ათი, სულირად ვერ დაუყოლია. ხმლით დასერილი კარვალ მხედარი იარა მალამითი მოუშეშებია და მომხედურს ქველად შემეშია.

როაკი მტერი უაუტყული იქნებოდა, ხალხი ხმალს ქარქაშში აგებდა, გუთანს ჰკილებდა ხელს და შრომას ადილებდა.

შესვენება. ქვეყნის აყვავება. მალე კვლავ საომარი ყი-ყინა, მტრის შემოსევა, ქულზე კაცის გასვლა სალაშქროდ, სისხლითი მორწყული მიწა და აიხრებული ოჯახი. ყოვე-ლივეს, რასაც დასაბამი აქვს, დასასრულიც ახლავს.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევი ჩვენი ერის ცხოვრე-ბაში დიდი ვარდატეხის პერიოლია. მძალეშა რუსეთმა საქართველოს ჩამოაღწა მისი ისტორიული მტრები — თურქი და ირანული დამპყრობნი და ხალხს ფიციურ-ისრეთობა შეუნარჩუნა.

ახლხმა ვარეშე მტრები მოიშორა, მაგრამ შინაურე-ბასაც ხომ ალაგმა უნდოდა. თურქი და ირანელი ხანები, გე-გები, ალაღარები ისტორიას ჩაბარდნენ, მაგრამ დიდი და პატარა ბატონები, მეფის მოხელე, მდივანბეგები და მძინა მათნი ხომ დარჩნენ და წურბელებიერით სისხლის წო-და დაუწყეს მშრომლით.

დედამიწა კი ბრუნავს და ცხოვრება სახეს იცვლის.

აგერ გამოჩნდნენ პირველი მერცხლები — ვახაფხულის მაუწყებელი. ალდა რუსეთი. ბურჯანოხისა და მემამუ-ლების თარეში ხოლმე მთელი. ოქტომბრის რევოლუციის ცხოველყოფილი მისი სიწვები საქართველოსაც მოეფინა. დაიწყო ქვეყნის განახლება, ვამეფდა შრომა. სოფლად ბა-ნიანი სახლები ტანს იყრიან და სართლებად იქმნიე-ია, მამაპაპური ურები ავტომანქანება შევალეს, ქრა-ქი, კვარი და ნათის ლამფები — ელნათურებმა; ლაფია-ნი ქუჩები, ორლობები მოიკირწყლა და ქვაფენილებით დამშველდა. შარავზენი — ასფალტით. ქალაქებმა ხომ მთლიანად სახე იცვალეს და კქვლუცად გამოიყურებინა. უყვარს ჩვეს ხალხს შრომა და, როაკი სამკალს მორჩება, მქნეს ზეინებად ცამდი აზიდავს, როაკი სამჭედილი ქუ-რას შეინებებს, ვრდელში შეისვენებს, როაკი მშრომელი მუშლებიდან ქარს ამოიღებს, შენაყრდება და წითელ ნუ-ნუას ვადაკვრავს, ძარღვებში სიამის ყრუანტელი დაუ-წყლის და ამღერდება. სულში ჩამწვდომი მელოდიებით აღ-საესე სიმღერას ლაზათი ცეკვამ უნდა მისცეს. ვამოსი სა-ამოდ ვინედ ქაბუკი ხელეფს, ჩამოიწყებს და რომელები ტრუდა ასულს სათამაშოდ გაიწვევს...

1936 წელიწადი. ხალხის წიაღიდან გამოსულ ნიჭთა დათ-ვალიერება ხდება. ეს პირველი რესპუბლიკური ოლიმპი-ადაა. ავეისტოს დასაწყისია... თბილისი საზეინოდ მორ-თულა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დედაქალაქს თავისი საუკეთესო შვილები სწვევიან და ისედაც ხალხ-

მრავალი ქალაქი საამო ქრამულს მოუცავს. ქართული კაზები თა ატლასის გულისპირთი მორიული ღამაზმანე-ბი რუსეთისპირის პროსპექტს მოხვნიან, წყრუგან ტანის ჰაზუნე, ჩონგში გამოწყობილი, ქუჩებში დაბარალე-ბენ. რომელ მძიმელს არ ამოხიდა ველიდან: ნეტა რა დედამ დაზარდა ასეთი ტლო-ტლოეი ბიჭები!

ფალიაშვილის სახელობის ობიანისა და ბალეტის თე-ატრის ზედა ხალხი მიწყულობია. შენატრან ბენდინთ, რომლებსაც ბილეთი უშოზნიათ, და 5—6 ავეისტის და-ესტრეანის დიდ სახალხო ეროვნულ ზეიშს თატურბი, სი-ადა ყველას ობატებს, ავეიერებს, ატბობს ხალხური სი-ღერები და ცქცქები.

აი, „ქართული“ — ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გე-ნიის დიდებულ ნაყოფი. ეს ხომ მოძრაობით და პლასტი-კით გამოხატული სატრავალ მოგებაა. თუ გვიხსენებთ წარმტანი ბეგრებით ამ ტრავალის მიშს უმღერან, თუ მუსიკოსნი მელიოდური ხანგებით მას ვენდერეს უკუ-ვენ, „ქართული“ მოცეკვენი პლასტიკური მოძრაობით ამასვე ვეიხატვენ. რომლის ეს უფრო მტკველია, ამ პო-ემის ვადმოსაკება? — პოეზიის, მუსიკის თუ ცეკვის, ეს უკვე შემოქმედება ნიჭზეა დამოკიდებული! ავერ გამოჩნ-და კახური „ქართულის“ მოცეკვე, სატრავალ მოგე-ბად დავსურის იწყება. ვაეიც დინჯა და პლასტიკური რხე-ვით მიმართება, უელის დარბას და თვალთ თავის მიჯ-ნურს დაეძებს. ავერ მიავთ, მის წინ ვაჩრდა, თავი და-უკრა და საცეკვედ გაიწვია. ქალი ხარხარის ჩხვიით დარბაზისაკენ ვაემართა. ვაეი იმავე რხევით უკან მისდეს ქალს და იწყება ორთა ტრავალი, სიყვარულის დიდება. ვილა ზურაბიშვილის თქმით, ქართული ცეკვა მთლიანი პოემა ტრავალისაა. მას აქვს სათანადო დასაწყისი, — „შორით ბნედა, შორით აღვა“, მას აქვს განვითარება — „კაცს მიხედვის საწყადელი, რას ეძებდეს უნდა პოვან“. მას აქვს დასასრული — „სიყვარული ავაგაილგეს“.

ქართული ცეკვა იც იწყება, ისე ვითარდება და ისე მთავრ-დება, რომ ვაეი ქალს არც ერთხელ არ ეხება. მხოლოდ დამთავრებისას სურათი ვეჩვენებს, რომ მათი ბედი ვა-დაწყვეტილია და ისინი უნდა შეერდებიდნ, და რამდენა-დაც საწყაული აღუვსებელია, იმდენად მწეგავე და ცეცხ-ლოვანი ის ვრძობებიც, ქალ-ვაეს რომ უკლია.

ავერ გამოჩნდენ ხელოვნური ვლებები, განსაკვირვებ-ბული სიმარდიტ დაქვრიან სტენჯედა და თავიანთი მოკე-ვითი ეტრებით ვადმოვკვენი „ხორუმის“ საომარ ხა-სიათს. ცეკვა ხორუმი, „ქართული“ ყველასათვის ცნობილი ამავაია ჩვენთვის ცნობილი იყო სამღერებეც — ხასანბე-გურა, კახური მრავალკამიერი, ლაშქრული, „ვუშინ შვიდ-ნი ვურჯანდელი“ და სხვა მრავალი. ვანა მოიძებნება ისე-თი ხმისა თუ სმენის პატრინი ქართული, რომ ერთხელ მაინც არ შემოსძახის მრავალკამიერი და მით უელის ში-ა არ ვაბასარის. ყოველივე ეს ჩვენთვის ნაყნობი იყო, ვეინ-დოდა მოვეგებინა ახალი სიმღერები, ვეენახა ჩვენთვის უც-ნობი ცეკვები, რადან ყველა ვთუხეს თავისი სიმღერა აქეს. თავისი ცეკვა, ერთიც და მეორეც ხომ ადამიანის მა-ტრიალობის ცხოვრების შედეგია ხელგონება ხომ ნივთი-ერ საწყისებს არ არის მოწყვეტილი. ეს ხომ ხალხის ყო-ფაცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

სავთისის სუსხიანმა და ზოიანმა ბუნებამ ხალხში მტკიცე და ურყევი ხასიათი ვამოიწმუშა. ვიროული სა-წყისებით ატევერ, და ჩვენც მათს ცეკვებზე და სიმღე-რებზე დავიხსენებ მთის ხალხის სიამავე, სიხეიად, როგორ მარდად ატკედნენ სავთში მათი ღებების მოძრაობას განცვიფრებელი მოკავშირე ადამიანი. ნანტრში ქალი ფეხის თითის წევირებზე, შეხტომა ვანზე ვაწეული ცუსლებით. ეს ის ვერტიკული სისწრაფით ხლებოდა, რომ დარბაზი აღტკვებული იყო. პირველობაში მათ ვერაეი შეეცლა. „ცეკროლი“, რომელიც მას შემდეგ ასე პოპულარული ვახ-და, იმითვე ვავისნივთ, რომ ეს განსაკვირვებელი ცეკვა საქართველოს დედაქალაქში იმ ქუთხის შეიღებმა ჩამო-იტანეს, რომლის მკვიდრნი იყენენ ჩვენი ბალეტის ვადდე-

რის ვახტანგ ჰუბუკიანის წინაბრები. ავე ვეინდა ვაეც-ნით ვაითხედეს მათი ცხოვრებეც.

წინაბრება ცხოვრების შესწავლა შთამომავლებს! უწყ-მინდესი ვალია. ვანა ყოველივეს ვაეცეს ამისი საშუალე-ბა? ვინ მოთვლის, ვინ ვამოიკვლევს, სისხლის წევიტის დროს, რამდენ მხედარს ხმალ ვადაში ვადატეხია, რამ-დენის ვვამი ყვე-ყორნების საუჯევი ვამბდარა და შავი მიჯა არ ღირსებია, რამდენ დედას სალაშქროდ წასული პირში არ დაბრუნებია, რამდენი ვატყალი ძაბით შე-მოსილა და რამდენი ყმა ბატონს ვაქცეია!

ჰუბუკიანების ერთი შტო რომ დაღმქელოანების ყმე-ბი ყოფილან, ეს დაღვენილა. მაგარა როდის ვაეცეს ვახ-ტანგის წინაბრება ვინ მისხანდა ბატონს და პირველად რომელ კუთხის შევაინა თავი, ამის დაღმქელება ძნელია. ვანა რომელი ვემატანად დაინტერესულია ამ თუ იმ ყმის ბეღით და აღუშედეგს მისი ამავე ეტრატზე. ვანა რაიმე მასალა მოვეგებებ? თითქმის არავითარი, ვარა იმ შე-პირი ვაღმეცემისა, რომელიც ჰუბუკიანთა ოჯახში შეი-ჩენილა. მაგარა იმ ზეპირი ვადმოცემა ხომ ყოველთვის იველის სახეს და ბევრი რამ მომლოანის ფანტაზიის ნაყოფ-ია, მოკლედ ვავისენით ისტორიული ფაქტები და, შე-იძლება, ეს ვადმოცემა იონჯ მანც დაემთხვეს ჰუბუკი-ანთა ოჯახის წევრთა ნაამბობს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, მეორემეტე საუ-კუნემდე სავთისი ერისთავებად ვარდანიდები ინიშნე-ბიოდენ, ხოლო მათ შემდეგ ვეხსოვრებტე საუკუნემდე ვე-ლოვანები ერისთავობდენ. ველოვანების შემდეგ ერისთა-ვისთა ვადმოსახედა რიჩვეიანებმა ჩაიკდეს ხელში. ვადმოცემით, დაღმქელოანებმა მოისყიდეს რიჩვეიანების ვარსკაცე, ვილა ცეცხელი. ამ უკანასკნელმა ისე მოახრება, რომ ერთ ღამეს რიჩვეიანები ერთმანის დავრიდენ და ამოხ-ცეს. ამის შემდეგ სავთისი დაღმქელოანები ვაბ-ტონდენ.

დაღმქელოანებმა მოინდომეს თავისუფალ სავთისზე ვაბატონება. თავისუფლებისმოყვარე სვენებმა მოკლეს უზურაბატონი, ჯერ ყვარციხე, შემდეგ ფუთა დაღმქე-ლოანები. ამ ვეკლდობისათვის რომ მასობრივი ხასიათი მი-ეცათ, შეთქმულების თვითუღმა მოწაფილენ თთვის წამ-ების თითი მარცვალი ვადასცეს ვითარც, თვითუღმა თავის თთვის ტყვიას ჩამოათალა ნამცეცხ. ამ ნამცეცხი-სკან ჩამოსხმის ტყვია, თითი შეგროვილი წაშლით ვატე-ნეს და ფუთა მოკლეს. ეს მოკლაცე ისეთი სურათია, რო-გორც ლოპე-დე-ვეას აქვს აღწერილი — „ფუნიტე ოვეზუ-ნავი“ („ცხვრის წყაროში“).

ფუთას შთამომავალი ძალაუფლებისათვის ერთმა-ნეთის ექიმბობდენ და მამ მის სისხლს ღვრიდა. ერთმა-ნეთთან ბრძოლა, სისხლის ღვრა ისეთ ხასიათს იღებდა, რომ დაღმქელოანების ვეკრეულობა დაუსრულებელი ცურავდა სისხლის მორევი. ვღვობდა ხომ საშინელ პი-რობებში იყი! შირად დაღმქელოანები ვერაინთ ყმებს ოსეთში და სხვაგან ყიდდენ. სავთისი თვითღვრიდ-ნენ ამას და ხშირად აუანებდეს აწყობდენ. ფუთა და-ღმქელობის ვეკლდობის ახალთავიერ ამბები მორღე-ბოდა. ერთ-ერთმა ასემა ამამა ვამოაქცა მესტილიან გიორგი ჰუბუკიანის მამა, რომელიც სოფელ დილიში და-სახლდა. დილის მკვიდრი გიორგი ჰუბუკიანს ორი ვაეი ჰყავდა — მიხილი (დაიბადა 1889 წელს) და ლევია. გიორგი ვამრეცე ვლები იყო, იცოდა მწეალის ძალა და შე-ცვდა შეიღებისათვის ვანათლება შეეცა. ასე ჰქობდა გიორგი, მაგარა საქმე ისე არ წარმართა, როგორც მას უნდოდა მიხილმა დურღული ხელობა შეისწავლა და ამ საქმეში იშვიათი ნიჭეც ვამოიჩინა, ხოლო მისმა უმცროს-მა მამა ლევანმა საკამო ვანათლება მიიღო და თვალევი ხანხიანება მოუწყო. მიხილის ახალგაზრდობაშივე ისე-თი ოსტატის სახელი ვაუკრდა, რომ დიდი მთავრის მი-ხედვით რომანოვის ბორჯომის სასახლის სადურღული საშე-შაობებზე მიიწვიეს. ამ პერიოდში ლიფლანდიიდან ბორ-ჯომში ჩამოსული იყო სამკურნალოდ ახალგაზრდა პო-



ლონელი ქალი — ელენე ქრისტანეს ასული ლიხი.
 აქ, ბრუნოში მიხედული და ელენე გაიცნეს ერთმანეთი და მალე მათი დაახლოება ქორწინებით დავერჯინებოდა. იშვიათი წყვილი იყო. ორივენი ფაქიზი, კეთილი, კლდემაშისი, მშვენიერი და გამაჯრელი. ელენე ქრისტანეს ასულმა ნამდვილი მუღუღობა გაუწია მიხელს. განსწრებულმა, ფუფუნებანი აღზრდილმა ქალმა ყოველივე დაწამო, მხარაში ამოუღდა ქმარი. მისი გიჟი და ლხინი გაიზარა. ცოლ-ქრისტანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ბირველი ვაჟი ირაკლი შეეძინათ. ეს სიხარული უფრო გაორკვედა, როცა მეორე შვილი ეკატერინე ეყოლა. ბედნიერნი არიან ელენე და მიხელი. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა სიხარული. პირშიმ ირაკლი გარდაიცვალა და დედ-მამის გული ჩაკლა. მიხელი კიდევ მაკაკე იყო, დარსდა და ბოღმას მუშაობაში იჭაგრებდა, მაგრამ ელენე — რა ქნას, როგორ აიტანოს ეს თავზედატეხილი უბედურება? ტრილი მაინც შეეძლოს, რომ მოსკოში და იხიერი დარდი გაიპაროს! და ეს მშვენივით სასე ქალი, სულ რამდენიმე თვენი ისე გამოირკდა, რომ მახლობელი ველარც ცნობდნენ. მაგრამ დიდი თავისი ვატიანა. შრომალებს მესამე შვილი კონსტანტინეც დაებადა და დედის სახეზე ღიმილი გაჩნდა. ეკატერინეს ტოტიცა, კოსტას ენის ამოღება შრომალებს დარღ უჭარებდა, ცხოვრებას უადვილებდა. მიხელი მთელ დღეს მუშაობდა. შინ დაბრუნებისთანავე დიასახლისის საეთლი სახე ხვდებოდა, სუფრა იმღებოდა და შავშავის ტოტიცა გულს უხარებდა და ოჯახში ბედნიერებით სტუმბოდა.

შავშავი რეაქციის პერიოდში, როცა ყოველივე ეროვნული იდეებზედა, ქართულ თეატრსა და გიმნაზიას უარსება დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. თეატრის სცენებზე გაიმართა ჩვენი შრომალოერი, ღამაში, მუსიკალური ენა. ქართულ გიმნაზიაში დედლების სწავლის საბაბი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამიტომაც იყო, რომ როგორც თეატრს, ასევე გიმნაზიას თავგანთლებით იცავდნენ და მფარველობდნენ დიდი ილია და მისი თანამებრძოლი. ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა უმთავრესი საზოგადოებას შეადგენდა ეროვნული კულტურის ამ კერათა მოვლა-საბრუნობა და აყვავება. ამ დიდ საქმეს იღიურ ხელმძღვანელებმა ერთად პრაქტიკული მუშაობებიც ესაბრუნებოდა. ერთი ასეთთაგანი ვახლათ ცხომელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხევაძე. თავდაპირველად ქართულ გიმნაზიას (ყოფილ სთავად-ანაურო სკოლას) საკუთარი შენობა არ გააჩნდა, — ხან სად აფარებინებდნენ თავს და ხან სად. არც ერთი შენობა სასწავლებისათვის გამოსადეგი არ იყო. სკოლის მუხეცურებში გროზობდნენ ამას და ოცენებოდნენ ქართული გიმნაზიისათვის საკუთარი სახლი აეგოთ. ამ ოცენებს ხორცი შესას ნიკო ცხევაძეა.

დღეს რომელი ქართველის გული სიამაყეს გრძნობით არ აოცებდა, როდესაც უყურებს ვარაზის ხევის თავზე თორი შენობა! — სახელწოდებ უნივერსიტეტს. რა თან შენობის მშენებელი ნიკო ცხევაძეა ვახლათ. რა თანებობა აშენა ნიკო ცხევაძემ ეს შენობა? სად მოეპოვებოდა ღარიმ პედაგოგს თანხა, რომ ასეთი დიდი შენობა დაეწყო? მას ფული არ ჰქონდა, მაგრამ საქმისადმი დიდი სიყვარული ამორჩაებდა. ამ სიყვარულმა შეადგინა ნიკო ყოველივე სიმძვინის ვადალახა. ვინ აღნუსხავს რამდენი დიდგნა აუტანია ნიკო ცხევაძეს. ოცნების კოვჩის აგება მოკვების საქმეა, ისიც მხოლოდ მეღონით ქალღმერთი — გაიძიხოდნენ ურწმუნო თომანი. გაფხეკილი ჯიბე ალიზის სახლიც ვერ აშენებდა, — ხითითებდნენ ქოლღები.

ნიკო დაცენავს იტანდა და დაწვეთულ საქმეს ვანაგრებოდა.

ფულის შოვნის საკვირველი უნარი ჰქონდა, კერძო პირებს დაიწყო ფულის შეგროვება. ბოლოს ილია ჭავჭავაძე დაინტერესდა და ბანკის მოვებინა საგრძობით თანხა გააღებინა. ბანკის წევრები აყაყანდნენ.

— რას გვიშვრება ევ ტაბლებით ვაზრდილი! (ნიკო)
 მამა ქართლის სოფლის ბანკის მდგელი იყო), ღამის წირვა გამოუყვანოს ჩვენს ღარსაც.

ილია ჭავჭავაძეს ხშირად უთქვამს ცხევაძისათვის: — ნიკო, შენ თვითონ მოდი კრებაზე და უკმაყოფილო ბანკის წევრებს პასუხი ვაეციო.
 ნიკოც მიიღოდა კრებაზე და თავისი მოღამარი, სათნახბით, გულწრფელი სიტყვით დასწრეთა გულს მონადირებდა ხოლმე და კრებას გამოაქონდა დადგინილება მშენებლობისათვის დამატებითი სახსრების გაღების შესახებ.

ვერაზე, ვარაზის ხევის თავზე, ნიკომ ნაკვეთი შეიძინა და მზალებს შეუდგა. მშენებლობის ხელმძღვანელად არქიტექტორი სვიმონ კლიაშვილი მიიწვია. შეხმატკბილივით მუშაობდნენ ეს პატრიოტი ერთუხასტელი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. განა შეიძლებოდა ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგუბაშვილის განუწყვეტი მემგობარი ნიკო ცხევაძეც უმწკვრელობა და თავისი ჭკვევის მოყვარული არ ყოფილიყო? ამ გამოჩინული საზოგადო მოღვაწის და თეატრალის ეფრო კლიაშვილის გაქს, დმიტრი ყოფიანი ახლო ნათესავს, არ გამოაყოფოდა სამშობლოსათვის თავადღებულ დაძაბიანთა ტრადიცია? განა ამ ოჯახმა არ წარმოშვა საბა კლიაშვილი, რომელიც ოლსანი მთაველებს დარბევების შავრაზებლებს მსხვერპლი ვახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაულს გამოესარჩლა?

სვიმონ კლიაშვილმა საღურჯლო სამუშაოები ჩააბარა მორეულ ნათესავს, იშვიათ ხელოსანს, თავისი საქმის ნამდვილი ვირტუოზი, მიხიელ ჭაბუკიანს.

1900 წლის 14 ოქტომბერს ამ შენობის საძირკველი ჩაუყარეს და მაშინველი წესისამებრ აკურთხეს... ზეიშის დიდი ილიაც დაესწრო და სახელდახლოდ გაკეთებულ ფანატურში ეროვნულ საქმეს ბედნიერად დავერჯინებოდა უსურავა. ნიკო ცხევაძის ოცენება ხორციელდებოდა. საძირკველის ჩაყრის დასწრე ვითრეც ღამისმთელი იგონებს ხა თავის "მეშუარეში" ამ ამბავს, დასძენს "ნიკო გვეგებინება: ყმაწვილებო, ვირრევე ახლავე შეიძინით აქ სამისახლო ადგილები! ახლა ახლო-მალე მიწა აქ საყენი რამდენიმე კაპიეი ღირს, რამდენიმე წლის შემდეგ, ათ თუმშათაც არავინ მოკცემთ. ვაკე მაინც წარმოადგენდა ოღრო-ჩოღრო უღამინს და ჩვენც ზურჯს უკან დავეციონდით მოხეც ენთუხასტს, — რას ამბობს, ვის ვაუგებია აქ დასახლებომა".

ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, ეს ადგილი ტურებისა და მეღების სათარემო იყო. აქ მენახებო ელიბუს და შემის გამყიდველებს თუ შეხვდებოდა ადამიანნი.

ნიკოს რჩევა ჭკვენი დაუწყებო ილია ჭავჭავაძის გავხეთ "ივერისი" მდივანს ვაკო ყიფშიძეს, რომელმაც ქართული ივერისიის მახლობლად შენობა აიკო, თვითონ სვიმონ კლიაშვილს და საღურჯლო სამუშაოების ხელმძღვანელს მიხიელ ჭაბუკიანს. ამ ორმა უკანასკნელმა ფიქრის გონება შეიძინა ნაკვეთი და დაიწყო მახლობლად შენება. სესხის აღება სვიმონ კლიაშვილს საშუაერსა. მათათალია, ვერაიანი სახლი აშენდა (გამოჩინებო ოსტატტი ნაკუთარი სახის კარკად ააგებდა), მაგრამ იმდენი ვალი ჰქონდა ბანკისა, რომ მის გამოხსნას ყითრითანი კაციც ვერ შეძლებდა, არა თუ მიხილისსიარი დარდიმანდი ადამიანი. მაგრამ ამაზე შემევეც.

ქართული გიმნაზიის მშენებლობა ძალიან მიმიდებ მიმდინარებოდა. მად ჭკვენი მიღისონ. ცხევაძემაც ნაკულად ვანხარახული ორი სართულისა, ოთხის აგება დაიწყო, რამაც ხარკები ერთობრად დაუზარდა. უსახსრობის გამო მთელი თვეებით მუშაობა ჩრდებოდა. თითქმის არავინ დაჩრდილდა, რომ ნიკოს მშენებლობის საბჭოებისათვის ფული არ გამოებრთიოთ. თავად-ღამისურობამ რამდენჯერამ დააყენა საკითხი დაუმთავრებელი შენობის გაყიდვის შესახებ, მაგრამ მოხუცი წინააღმდეგობას უწყვედა და გაითახოდა — რკინის ქალაშენს ჩაეცვება, მთელს საქართველოს ჩამოვივლი, ყულაბით მოვგაროებე გროშებს და შე-

ნობას მაინც დაემათავრებო. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე ნიკოს მხარის უჭერდნენ.

მიხილვ კაბუციანი ხელდავს, რომ ნიკო ცხვედაძეს არა აქვს საშუალება მუშებს დროზე გაუსწიროს ამგარიში და ყოველ ღონეს ხმარობდა სხვაგან აღებული საშუალებით დაეკმაყოფილებინა ბუზღუნა ქარავანი. ის ვერც მოთხოვდა ყველა ხელისხანს იძულებულია დღივით დასვას" და მიხვიცი ენთუზიასტის ნიკო ცხვედაძის ტკბილი სიტყვებით მიმზილის მოკვდა.

ერთ მშვენიერ დღეს ქარავლები მიხვილის გაუფიცუნენ—ვიდრე გასაძრეველოს არ მოგვეცემთ, სამუშაოს ახლოც არ გავუკარებთო. ნიკო დატრიალდა, საიდანღაც ფული იპოვნა და უკმაყოფილონი დააკმაყოფილა. სწუხდა მოხუცის ეს ამბავი, მთელ თავის სიციფუნეს შრომულთათვის იღვევდა, ახლა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ თვეობით მუშებისათვის გასამარჯულო ვერ გაეღო. მიხვილი კი, როცა ვინმასა და საშუი მასალა აკლდა და ძალაუხერებოდა უნდა გამცდარიყო, სხვაგანაც მუშაობდა და კარგ შედეგებსაც იღებდა. ამა ჩინებულ სიტყვას სამუშაოს მიტევაზე ვინ ეტყობა უარს, და მიხვილსაც შედეგებითი საკმაოდ ჰყავდა.

ამ პერიოდს კადეტთა კორპუსის დირექციამ შეადარა ერთიმე დურგლისთვის მაგიდების შეკვეთა მიეცა, არჩევანი მიხვილზე შეჩერდა. თხოვის ნიშნულა ერთი მაგიდ და დამზადდა, თუ კომისია მიიწონებდა, ხელშეკრულება დადებითი. მიხვილი ამ დროს მორაჯობში უნდა გამგზავრებულიყო პატარა სამუშაოს შესასრულებლად. ამიტომ ერთ-ერთ ხელისხანს დაავალა გაეკეთებინა მაგიდა და დათმული რიგებისათვის კადეტთა კორპუსში მიეტანა. დაიბრუნა კომისიის დროს მეც ჩამოვალი. ხელისხანმა დაავალა შესარჩევად, —მაგიდა ვაგაზუნდა და კორპუსში გაგზავნა. დანიშნული დროისათვის მიხვილი თბილისში ჩამოვიდა და კადეტთა კორპუსში გამოეცხვინა. თურმე იჯარის აღება თვითონ იმ ხელისხანს სდომებოდა და ამიტომ ყველა ხერხს მიმართა, რომ კომისიას მიხვილ ჰაბუაიანის სამუშაო დაუწევინებოდა. ალამბართლი ალაშქარის იყი მიხვილი და ხელისხანის ვერაგობას ვერ მიხვდა. აი, მოვიდა კომისია კორპუსის დირექტორის გენერალ-მაიორ ალექსანდრე კირევეის მეთაურობით. შეუდგნენ მაგიდის შემოწმებას. უცხად ერთ-ერთმა კომისიის წევრმა წამოიძახა: —ამას რას ვხედავ, ეს რა ამბავია? —რაშოა საქმე? — შეკვიითხნენ წევრები.

— საქმე ისაა, რომ მაგიდის სხვადასხვა მოყვანილობისა და ოთხი სხვადასხვა ფერის ფეხები აქვს. ამან ყველას ყურადღება მიიქცია. ყველა ვაკოცდა. მიხვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მიხვდა ხელისხანს ოთხენა, მაგრამ არ დაიბნა და გენერალ-მაიორს მოახსენა:

